ᲩᲚᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲣᲨᲐᲛᲘ

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲐᲜᲗᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

№ 5
(29)
ᲛᲐᲘᲡᲘ
1929 Წ.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲣᲚ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲣᲠᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ.

Ბ. ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲘᲡ, Ი. ᲕᲐᲙᲔᲚᲘᲡ, Ვ. ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲛᲘᲫᲘᲡ, Ა ᲛᲐᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ш. ᲠᲐᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲐ Д. ᲠᲝᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ
ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ
ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲘᲝᲜᲐ ᲕᲐᲙᲔᲚᲘ

ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

დასასრული

ᲙᲐᲠᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ

ნაძალადევი, როგორც დევი ნაიარალი,
არის ერთგული მოდარაჯე წითელი დროშის,
ბევრი ბრძოლები უნახავს მას სხვადასხვა დროში...
შეგებებია მშრომელთ დღეებს ქუფრს და მწუხრიანს,
მაგრამ მას ქედი არასოდეს არ დაუხრია.

აქ, ხარ-კამეჩებს სოფლის ბიჭი აღარ აძოვებს,
სამაგიეროდ მანქანები კუპრის ტბას სწოვენ.
და თუ შენ ხედავ მეგობარო, აქ, უბირ ქოხებს,
ნაძალადევი კვლავ გმირია და მეამბოხე,
რომლის ძარღვებში, ღელავს სისხლი ქვის გამკვეთელი
და მღელვარება სანაქებო, დაუშრეტელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი გმირია და მის ნებას ქლიბით ალესილს,
ვერ იმორჩილებს მრისხანება და ვერც ალერსი.
უჭირავს დროშა, სისხლის ფერი, მრისხანეც არი—
ვით მთის ფერდოდან გამძაფრებით მომსკდარი ღვარი...
და რაც არ გლიჯონ გრიგალებმა, ის მაინც არი,
დაუძლეველი, საქართველოს ბაირაღტარი.

თუმცა არ გვესმის ტკბილ-ხმოვანი ჰარი-ჰარალი,
მაგრამ გულები ნასეტყვი და ნაიარალი—
მარსელიეზას დანთებული ხანძარით თბება...
მომავალს გული გაუშლია, წარსული კვდება,
და დღეს ვით დევი, გულ მხურვალე ნაძალადევი,
რომ ქუხს და ღელავს, აღარა ჰგავს მკვნესარ იადონს,—
ამხანაგებო, ჩვენც ვიმღეროთ საგანთიადოთ!

—

სად დაიკარგა მასის ხალისი,
ნუ თუ მან სწრაფად გზები მოლია,
და ცხრაას ხუთის მომსკდარი ძალა—
ცხრაას ექვს წელმა გადიყოლია!
მაინც სად არის ეს ვაჟკაცები,
მარსელიეზაც რად არ გრიალებს,
რომ ხალხში ჰქუხდეს ტრიბუნი ისევ,
თავ-განწირულად მოხეტიალე.
მაგრამ პასუხი ვინ სთქვას, როდესაც,
ჰქრის ცხრაას ექვსის მსუსხავი ქარი...
გრიაზნოვი კი თავაშვებული—
თარეშობს ყველგან ყაზახთა ჯარით.
აგერ, მიუხტა გაფიცულ მუშებს,
გააფთრებული ვერაგი სვავი...
გაჩაღდა ბრძოლა უთანასწორო,
ბრძოლა ფიცხი და გულისაკლავი.
არც ერთი მხარე, არ თმობს, ბრძოლის ველს,
გულ-შემზარავი გრიალი არის.
უიარაღო მუშებს არტყია,
მშიერ მგლებივით ყაზახთა ჯარი.
მაგრამ ვით ხშირად, ზაფხულის სეტყვა,
დაიგრიალებს ქუშად და ბნელად.
თვალუწვდენ ველის არე-მარეზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარეგვავს ჯეჯილს დაუზოგველად—
ისე მუშებსაც ყაზახთა ჯარი
თავის ძალღონის დაიმედებით,
თავს დაესხა და ამოათავა—
გაცოფებული ვეფხვის კვეთებით.
და ჰა, ღრუბელი მწუხარებისა,
კვლავ გაიშალა სამშობლო მხარეს;
ჰქუხს მღელვარება, გრიალებს ხმები,
შურის ძიებით აღსილი, მწარე.
ყველგან ტირილი, გლოვა და ზარი,
ქუჩის კიდურზეც სისხლის ხაზია,
აქეთ ხარხარებს შავი ძალები,
იქით ნებივრობს ბურჟუაზია...
მუშები გმინავს, მღელვარებს ხალხი,
კოშკიც ინგრევა რკინით ნაგები...
არ ხმაურობენ სახელოსნონი,
არ გრიალებენ ლიანდაგებიც.
და ვით ბრძოლაში მძიმედ დაჭრილი,
წევს ფრაკიელი გლადიატორი,
ათასი უცხო გარეშე თვალი,
მას, რომ დაცინვით უცქერის შორით,—
ისე ტფილისიც ღარიბ-ღატაკთა,
რომ არ ხედავდა არსაით იმედს,
უთანასწორო ცხარე ბრძოლაში,
თავ-განწირული დაეცა მძიმეთ.

—

ნაძალადევი მაინც ჰქუხს მედგრად,
შურისძიება ეხლა მეტია;
მრავალი წლობით ნაგუბი ბოღმა,
ხალხს უკვე გულში არ დაეტია,—
და როგორც მხეცი დატყვევებული,
მტრისკენ რომ იწევს მეხივით მალი,
ენთება ბრაზით, ურტყამს ტორს კარებს—
საკუთარ ბედზე შმაგი და მწყრალი...
ლეწავს სალტეებს, ზაფრის თვალებიც
აქვს ამღვრეული ვით წყალში ღვინო,
უნდა გავარდეს გარედ, რომ შემდეგ
თვითონაც წახდეს, სხვაც წაახდინოს,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მრისხანე ნაძალადევიც,
შურისძიებით მთლად ანთებული,
წავიდა რკინის ზეშთაგონებით,
რომ გრიაზნოვზე იჯეროს გული.
— ვინ მოჰკლავს მტარვალს, იძახის ვიღაც...
— მე, მე, მე, — არის პასუხი ბევრი,
და კვლავ ბობოქრობს აღშფოთებული,
დაუცხრომელი ტალღების ტევრი.
ჯალათის მოკვლის მსურველთა შორის
არის არსენა ჯორჯიაშვილი,
არწივის სახეს შვენის სიმკაცრე,
და შუბლს შავი თმა ხუჭუჭად შლილი.
ზღვა ხალხის ტალღა გასჭრა მან ისე,
ვით ძლიერ ქარბუქს სჭრის შევარდენი,
და დამშვიდებით დადგა კრების წინ,
ლამაზი სახის ამაყად მჩენი.
— ამხანეგებო, მე დამავალეთ,
ეგ, ჩემზე იყოს ვერაგი სვავი.
ჯაბანი ვჭამო, მოკვდეს არსენა,
და მას საქვეყნოდ შეურცხვეს თავი!
მე არ წავახდენ ჩვენს წმინდა საქმეს,
სანამ გული ძგერს მართალი ძგერით;
სანამ არ მომკვეთს თავსა და მკლავებს,
ბასრი მახვილით ვერაგი მტერი.
— ვაშა, არსენა — დაიგრიალეს,
მუშებმა მტკიცე მჭექარე ხმებით.
და მას გაბედულ გულწრფელობისთვის
გადაეხვიენ ჩაგრული ძმები.
და ვით მშობელი დედა მტირალი
შვილს ეთხოვება სიკვდილის წინად,
თვალებიდან სდის კოკის პირული,
ღრმა მწუხარების ღვართქაფა წვიმა, —
ისე მუშებიც, ეხლა არსენას,
რომ აღარ სურდა ცდა და ლოდინი,
წასვლის წინ, როგორც ჰირისუფლები —
ეთხოვებოდნენ გულდაკოდილნი.

—

ვინ არის იგი, ნაბიჯით ჩქარით,
რომ მოისწრაფვის შურდულის მსგავსად,
ტანს, რომ ფარაჯის კალთებს აფარებს,
და უაბალახით, რომ მალავს თავსაც?
ვინ არის იგი, აგრე გაბედვით,
რომ სურს გადუდგეს გრიაზნოვს წინა?
ქვა ხომ არ არის ეგ დალოკვილი,
ან და უტეხი ხორასნის რკინა?
მაგრამ ეგ ხომ ის არსენა არის,
თავდადებული მებრძოლი ცხარე,
ბევრჯერ რომ ცეცხლის წვიმა უნახავს,
და უფრო მეტჯერ დღეები მწარე!
ყუმბარით ხელში, ის მტარვალს უცდის,
რომ თავზე დასცეს გლოვა და ზარი...
ზამთარი ბრაზობს, და სუსხიანი
დასავლეთიდან გრიალებს ქარი...
მაგრამ ის მიჰქრის შურდულის მზგავსად,
არ ერიდება მიმავალ მგზავრსაც;
ისევ ვით ვეფხვი ბასრ კლანჭ-თითება,
მსხვერპლს, რომ მოსხლეტით გაეკიდება
დაუზოგველად ფიცხი და მწყრალი,
თუკი სადმედან მოჰკრა მას თვალი.
და ჰა, გამოჩნდა ქუჩაში ეტლიც,
რომელშიაც ზის ვერაგი სვავი.
კლდეზე მიჯაჭვულ ამირანის მკერდს
რომ არ აკლებდა კორტნას და ჩხავილს.
არსენაც უცებ გასწორდა წელში,
როგორც უღელში მამაცი ხარი...
შიში არ იპყრობს? კითხულობს ვიღაც,
სრულიად არა — იძახის მტკვარი.
ეტლიც თანდათან უახლოვდება,
არესაც ზამთრის ებურვის თალხი...
ეხლაც არა კრთის? — კითხულობს ვიღაც,
სრულიად არა — ღრიალებს ხალხი.
და ვით ყაჩაღი, ჩასაფრებული,
მტერს დაუხვდება ამაყს და ზვიადს,
რომ ჩუმად, თოფის ერთი გასროლით,
თავის მოქიშპეს გაარტყას ტყვია, —
ისე არსენაც ჯალათ გრიაზნოვს,
რომ გაუსწორდა ქორივით მალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასცა ყუმბარა, და უცებ ეტლსაც,
მოედო მწვავე ხანძარის ალი...
მძიმედ დაიჭრა ხალხის მგვემელი,
კვნესოდა მწარედ, უწუხდა გული,
და ასეთ დუხჭირ მწუხარებაში,
დალია თავის ცოდვილი სული.
ხოლო არსენა თავის საშველად
მირბის ძალ-ღონის დაუზოგველად,
ხან თავს აფარებს ტივებს და მორებს,
ხან კიდევ ტუმბებს, ქვებსა და ყორეს,
მაგრამ დამქაშთა მთელი კრებული
მისდევს მას უკან ამხედრებული.
და ვით უდაბურ ტყის განაპირად,
სულ განაბული ზის მონადირე,
მეძებრები კი ყეფენ ბრაზისგან,
მისდევენ ტყიდან გაქცეულ ირემს,
არის გრიალი და ტყის შრიალი,
დაფეთებული ზანზარებს არეც,
ბოლოს, რომ თოფი იჭექებს სადღაც
და ძირს ირემიც ეცემა მწარედ, —
ისე არსენაც, მტრისგან დევნილი,
წინ რომ მიჰქროდა ვით შევარდენი,
უცებ იგრძნო, რომ წამოეწია
გაცოფებული ყაზახი ცხენით.
ჯალათმა დაჰკრა კონდახი თავზე,
და ამ დარტყმამაც ისე იქუხა,
რომ ძირს დაეცა არსენაც მყისვე,
ვით გრიგალისგან მოთხრილი მუხა.

კარი მეხუთე

ამაყი ტფილისი, როგორც მდუმარება,
მძიმე ფიქრებშია ჩაფლული ღრმად,
და ყოველ უბნიდან, ქარის მქუხარებით,
მოდის მღელვარებით მუშების ხმა.
თითქოს ცრემლებია დედის დაღვარული,
ისე იღუშება ულრუბლო ცა.
მაგრამ ტკბილ იმედებს, გული დაღარული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს განუზომელ სიფრთხილით ცავს.
რომელმა საგულემ უნდა აიტანოს,
ესოდენ წვალება ნათელი დღის,
როდესაც ჯალათი ყოველ მოედანზე,
გულებს საგულედან წამებით სთხრის.
როდესაც ძლიერი სწრაფვა იმედისა,
და უძვირფასეს სიტყვების თქმა,
რჩება უდაბნოსა შინა მღაღადებლად,
და იმედს შორეულს უფსკრული ნთქავს.
როდესაც ეს ცეცხლი უხვად მოვლენილი,
თვით ჯოჯოხეთის ცეცხლებსა ჰგავს,
როდესაც უსისხლოდ არ გადარჩენილა,
ტფილისის ქუჩებში არც ერთი ქვა,
როდესაც ჟლეტაა ყოველგან მუშების,
და სისხლის ღელეც, რომ ტრიალებს ღრმად,
სად არის ასეთ დროს მძლეველი მახვილი,
სად არის ასეთ დროს სიმართლის ხმა?!

—

სცრის ნელი წვიმა წვრილ მარგალიტებს,
ხან თოვლის ბრტყელი ფანტელიც ცვივა,
და მწარე ქარი ყრუ დაღონებით,
ციხის ლანძვებში საბრალოდ წივა.
ხოლო არსენა ოთხ კედელს შორის
განშორებული საყვარელ არეს,
ზის მარტოდ-მარტო, დაღონებული,
მშფოთვარე გული უკვდება მწარედ.
ციხევ, მოგიკვდეს ამშენებელი,
შენ ხარ, ვაჟკაცის დამღონებელი;
შენ ხარ, წვალების დილეგი მარად,
ბევრი მებრძოლი შენით წამხდარა...
ბევრში ჩაგიკლავს სიმაღლის დონე,
წაგირთმევია ძალაც და ღონეც,
და როგორც ჩვარი, წამხდარი მწარედ —
დაცემის შემდეგ გისვრია გარეთ!
რა ცუდათ გივლის შესაზარები,
ქვის კედლები და რკინის კარები,
ეგ რომ არ გქონდეს, ტყვე უბედური,
მთელი დღე, თავის ხვედრს რომ ემდურის,

ხომ უზრუნველად გაიპარება,
სადმე მთის ძირას დაიმალება,
იქ, სად ყოველ დღე კარგი დარია,
სად მისი ნახვა, რომ უხარიათ:
კლდეებს დიდებულს, მინდვრებს და ველებს,
დიდი ხნით მწყურვალ საყვარლის ხელებს,
იქ, სად ძმებსა და მეგობრებს შორის, —
კაცს შეუძლია იცხოვროს შრომით.
აქ კი საკანში მთელი დღე მარტოდ,
ზიხარ და ისევ შენს თავზე დარდობ —
მოშორებული სახლ-კარს და დედას...
მზეც დღეში ერთს არ შემოიხედავს —
თავის სხივებით, ელვარე, მწველი,
რომ ოდნავ გაშრეს კედლები სველი.
და ზიხარ ასე, და ზიხარ მარად,
ხან აღშფოთებით, ხან კიდევ წყნარად...
არვის აწუხებს ვარამი შენი.
მოდის და მიდის წვალების დღენი,
და ამ ყოფაში ილევი ისე,
როგორც ზაფხულში ყინული მთისა!

—

არსენაც ასე, ნახევრად მკვდარი,
საკანში ზის და არ უცემს გული;
შეუბრალებელ ცემა-გვემისგან
აქვს მთელი ტანი დალურჯებული.
ხოლო მის გვერდით, ზის ტყვე ყაჩაღი,
სწუხს რომ კაცს ხედავს იგი ამ დღეში.
თავზე ევლება ვით ძმას საყვარელს
რომ გაამხნეოს ოდნავ ნუგეშით.
— მოცოცხლდი კაცო, რა გემართება,
სულ ხომ არ უნდა იყო ძმავ ასე?
— ა, შენ ხარ კობა? ცუდათ ვარ ძმაო,
თითქოს ვიღაცა ყელს მიჭერს თასმებს.
ძვლებიც სულ მტკივა, თან მიდის გულიც,
ამდენ ცემისგან დალურჯებული...
გუშინ შენ ძმაო ძლიერ მაამე,
ეხლაც იმ გვარად მოჰყევი რამე!
თუმცა ჯერ არა, ჩემია ჯერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც მსურს, როგორმე თუ შევიძელი —
გაგაცნო ჩემი მწუხარე ბედი,
ჩემი წახდენის წინამორბედი.
თავს არ შეგაწყენ. გეტყვი სულ მოკლედ,
როგორ გასტეხეს და როგორ მოჰკლეს —
ჯანსაღ ხალისით აღსავსე გული,
ახალ ცხოვრებას მოწყურვებული...
რაღა დავმალო, მეც ჩემო კობა,
ბევრჯერ მიგრძვნია უმეგობრობა,
აი თუნდ, როცა ვიყავი სოფლად,
მაშინაც ვგრძნობდი, თავს მე, იქ ობლად.
არა მხიბლავდა არც შინ, არც გარეთ,
ერთფეროვანი ცხოვრება მწარე,
თავდახრილობა, მდორე და მკვდარი...
მე მიზიდავდა ცხოვრება ჩქარი,
და ერთ დღეს როგორც ნადირი, მხეცი, —
მშობლებს სოფლიდან გამოვექეცი.
ბევრი რამ ვნახე ქალაქში ძმაო,
არ ჩაიარა სულ მთლად ამოდ,
აქ, ახალგაზრდულ სულის-კვეთებამ,
გულს რომ ეხვია ცეცხლის ღვედებად,
აქ იყო ოფლი, შრომა, ქმედობა,
ბრძოლა აქრობდა უიმედობას...
აქ, მანქანებიც ავი ხმაურით,
რომ გვაერთებდა კვამლით და მურით,
ცეცხლს ჰყრიდა შრომა, ელავდა რკინაც,
ვაქცევდით უხვად ოფლის ცხელ წვიმას,
და ერთ ჭერის ქვეშ, რკინით ნაგებნი —
ვიყავით ყველა ამხანაგები.
მე აქ გავიგე, თუ რატომ არის,
ჩვენი ცხოვრება ესოდენ მწარე
თუ რატომ უნდა იყოს ყარიბი,
ზოგი მდიდარი, ზოგი ღარიბი,
და რკინის გულმაც შეკრულმა რგოლად —
ისწავლა მტერთან მედგარი ბრძოლა...

—

იმ დღეს, როდესაც ჩვენ ბრძოლა გვქონდა,
გვაგებდა ხიშტზე, გვირტყამდა კონდახს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზ-მორეული ყაზახთა-ჯარი —
მეც იქ ვიბრძოდი, როგორც აფთარი.
მაგრამ ჰე, ძმაო, დავმარცხდით ძლიერ,
უიარაღო მუშები გვძლიეს,—
და ამ ბრძოლაში ამდგარი ღვარით,
ცხრა ამხანაგი დაეცა მკვდარი.
მათ შორის იყო მებრძოლი ქალი,
მაგრამ მას ბედი უნდო და მწყრალი
არ მოერიდა, სრულიად არა,
და სულ უდროოდ დაასამარა.
და ვით ირემი დარჩება მარტოდ,
მეუღლის მოკვლას სტირის და დარდობს,
აღარც ხტის მთაში, აღარ ბალახობს
თითქო ჯავრი აქვს საიალაღოს,—
ისე მეც ძმაო დამეჭრა გული
მკერდიდან ბოლმით ამოგდებული.
მე იგი ქალი მიყვარდა ისე,
როგორც ორაგულს ჩხრიალი წყლისა,
როცა გრძელ ჭავლებს აზვირთებს ქარი...
და გრძნობა ეხლა, იმისი ჩქარი,
რომ ის ცოცხალი აღარსად არი—
ფეხის ფრჩხილამდე მიეონავს მწარედ.
დიახ, მიყვარდა. მასაც ამგვარად,
ტრფობისა ცეცხლი იპყრობდა წყნარად.
შენ ალბად იცი, მშრომელი ქალი
არის მებრძოლი და მასთან დედაც.
იმისი გული ოჯახთან ერთად
თავისუფლების იმედსაც სჭედავს.
ის ჩემო კარგო არა ჰგავს ლამპარს,
თუ რომ აენთო, უცებ რომ ქრება.
ბრძოლაში იგი ვეფხვია ფიცხი...
და მამაკაცთან უტეხი ვნება.
ბრძოლის ცეცხლს უფრო ამშვენიერებს,
ბროლის მხარ-ბეჭზე დაყრილი თმები,
თითქოს ეს არი ორად გაშლილი
ცის მკრთალ ტატნობზე ყორანის ფრთები.
როცა მშრომელებს ჭირის დღე ადგას,
ისიც მხარდამხარ იბრძვის ვით გმირი...
და გადადიან ასე მის თავზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაეშნიანი დღეები ხშირი.
ან როცა მებრძოლს ქმარს გლეჯენ მკერდით,
და განშორების წუთები არის,—
იგი აცილებს მას არა ცრემლით,
არამედ გმირულ სიტყვების ღვარით.
ასეთი იყო იგი ვინც ასე,
ალმანთო ჩემი ცხოვრების გზაზე,
იყოს ის ეხლა ცოცხალი ისევ,
გამართლდებოდა ეს გულიც მყისვე.
მაგრამ მას სძინავს მთვლემარე ძილით,
აღარ ახარებს სიცოცხლე ტკბილი,
არც მზე ცხოველი ზაფხულის დღეში,
წევს იგი ეხლა ცივ სამარეში...
და მეც, რაც დროა, ვხედავ რომ მელის,
გულის განგმირვა მტარვალის ხელით,
მაგრამ მტერსაც ხომ დაუსვი ძვირად,
ვერც კი მოასწრო, რომ დაეყვირა—
თავის დაღუპვა საზარელ ხმებით...
ირგვლივ დაიფშვნა ხეცა და ქვებიც,
და მთელი არე მუქი ვით ჩალმა—
დაჰფარა უცებ ყუმბარის ალმა.
შენ, ეხლა მიცქერ მე როგორც ძერას,
ამას ამტკიცებს ეგ შენი ცქერა;
მაგრამ მე ჩემი რწმენის და ბედის,
ვიყავ ერთგული სიკვდილის დღემდი.
შენ ჯერ არ გესმის ხალხის მძლე ბრძოლა,
რომ გრგვინავს ეხლა მეხივით მწველი...
კაცს ეგ ხან ისეთ გზითაც წაიყვანს
სად ვერ გაივლის ვერც ერთი მგელი.
შენ კაცი მოჰკალ? მეც ხომ ვარ მკვლელი.
ორთავე კაცის სისხლის ვართ მღვრელი,
მაგრამ მე ხალხის მტარვალს, ვით თული—
დავალევინე ცოდვილი სული.
იგი უნაღვლოდ მიჰქროდა ქვევით,
მე კი გულის თქმის და შურის ნთხევით,
ვიყავ რა იქვე ჩასაფრებული —
სიხარულისგან ტოკავდა გული.
და როგორც ხშირად, ავდრიან დღეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი ღმუის და ელავს ცის თაღი,
ჭექა ქუხილიც გრგვინავს საზარლად,
როგორც სალ-კლდეშიც გამსკდარი ნაღმი...
და შემდეგ ყველა ამ გრაგანისა,
მეხი რომ დასჭექს დაუნდობელი,
გააპობს მუხას თავით ფესვამდე
ცეცხლი ფოლადის გამადნობელი,—
ისე მეც ძმაო, მტარვალს ყუმბარა
დაუზოგველად, ვესროლე მწარედ,
და რა იფეთქა—ბოლმა ნაღმისამ
შავ ღამესავით დაფარა არე.

—

კმაყოფილი ვარ, ჩემს საყვარელ ხალხს,
რითაც შემეძლო ვეცი პატივი.
არ დავიშურე მისთვის სიცოცხლე
და ნორჩი გული ანდამატივით.
და ეხლა, როცა ნაცემ-ნაგვემი
სისხლი აწვება გულის მხნე კარებს,
ვყვირი: სალამი თავისუფლებს,
სალამი ძვირფას მშრომელთა მხარეს!
დე, ჩემი სისხლი დაიქცეს აქვე
და შეუერთდეს მტკვარის ნაპირებს,
სამაგიეროთ წარმოშობს იგი,
ბრძოლის უნარით აღსავსე გმირებს.
მე, ხვალ ცისკრისას აღარ ვიქნები,
ვერ დამიტირებს ძვირფასი ძმები.
ვერც საყვარელი ამხანაგები—
მხურვალე გულის მწარე ნადებით.
მაგრამ შენ გახვალ აქედან მალე
გთხოვ შემისრულო რასაც გავალებ,
და ნახე ჩემი საბრალო დედა...
მას მე აქ თითქო ჩემს თვალწინ ვხედავ,
და განწირულ შვილს, ფეხქვეშ გალესილს—
თითქო მეხვევა იგი ალერსით.
მაგრამ მას უთხარ, რომ შენი შვილი
მიწაშია თქო ღრმად ჩაგოზილი...
ნულარ იდარდებს, ნურცა იკვნესებს,
ნუ გადაჰყვება ადათს და წესებს.
ნურცა მოთელავს საჩოხე შალებს,
ნურც სიტყვას მისცემს გასათხოვ ქალებს,

ნურც იტირებს და ნურც ივალალებს,
ნუ ჩამოიშლის ვერცხლის დალალებს;
ცრემლით რასა იქმს, სულ ერთი არის,
მე ხომ იმ დროს ძმავ, ვიქნები მკვდარი!
ჩემს მეგობრებსაც უთხარ, რომ გული
ჰქონდა თქო თქვენზე აჩუყებული,
მაგრამ ისიც სთქვი, რომ მე ვით რკინა,
ვიდექი მტკიცეთ სიკვდილის წინა.
და ამ სიტყვებზე ჯან-მილეული
დაეცა იგი ძირს ისე მწარედ,
რომ ერთი წუთით შეინძრა უცებ
მუდამ მდუმარე საკანის არე.
მაგრამ კვლავ ოდნავ მოსულიერდა,
რომ მორჩა გული დაგუბულ შხამებს...
გარედ მძლე ქარი ღმუოდა ისევ,
იდგა იანვრის მსუსხავი ღამე.

—

ჯერ კიდევ კარგად არ გახსნილიყო
აღმოსავლეთის ღურჯი ცის კარი,
რომ რაღაც მძიმე ღრმა მწუხარებით
მთებს გაჰკიოდა მშფოთვარე მტკვარი.
ხოლო მთები კი ორთაჭალისა
ნარიყალასკენ მიწვენილ ველებს—
თითქო ვედრებით მისჩერებოდენ
და ტფილისისკენ იშვერდენ ხელებს.
რა გაუჭირდათ ნეტავ ასეთი
ხომ არ მოსულა მრისხანე ხანი,
რომ გული მლეველ საქართველოსი,
შემოპარულმა ამოსჭრას ღამით?!
მაგრამ დღეს სპარსი როდი გვთელავდა,
როდი ელავდა მათი მახვილი...
ჯალათს მიჰყავდა ბნელი ხევისაკენ,
ნაძალადევის მებრძოლი შვილი.
და იქ სად ეხლა მტკვარის ტალღები
ელავს მზის შუქზე პირმოცინმცინმედ
ჯორჯიაშვილიც, მტარვალის ხელით
მკერდ გახვრეტილი დაეცა მძიმეთ.
ხოლო ის რაღაც ხმა უცნაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აწვალებდა იმ ღამით არეს,
შემდეგ მწველ ხმებად გადმოიღვერა
და სევდის მოთქმა შეიქნა მწარე.

მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
მიყვარს ყუმბარის ხელში ტრიალი,
მიყვარს მშრომელი და მის გულისთვის,
თავიც გავსწირე, ოხერ-ტიალი.

ცავ, ნუ იღუშვი ასე მწუხარედ,
მამავ, ნუ სწუხარ, დედავ ნუ სტირი,
ჩემო სამშობლო, მშრომელო მხარევ,
მე აგაშორე თავიდან ჭირი!

სანამ იქნება წვალება ასე
და იგვემება ჩაგრული ძმები,
მანამდე „სული“ ვერ მოისვენებს,
ვერ მოისვენებს საფლავში ძვლებიც.

მაგრამ რაც დროა, იჭექებს რისხვა,
მოიხსნის ხალხი თავიდან ურვებს—
და მის მტარვალებს, პირსისხლიანებს—
ერთ მძლავრი დარტყმით გაანადგურებს.

მაშინ მე მჯერა, ჩემი სახელიც,
ეხლა რომ მტერი დასცინის მწარედ,
აღმობრწყინდება ხალხის გულიდან
როგორც ნათელი, პირბადრი მთავარე.

ცავ, ნუ იღუშვი ასე მწუხარედ,
მამავ, ნუ სწუხარ დედავ, ნუ სტირი,
ჩემო სამშობლოვ მშრომელო მხარევ,
მე აგაშორე თავიდან ჭირი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

რ ო ბ ო რ

პიესა 4 ნაწილად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კ. მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა ტფილისი

მესამე ნაწილი

1.

(გარშემო კლდეებია და მარტო ტყე. კლდეები გაკვეთილია და რკინის გზაა გამოყვანილი. სცენის შუაგულ, ცეცხლთან, ყაზახები სხედან: ორი. მესამე მათგანი მოშორებით დგას და დარაჯობს. სიჩუმეა. მოულოდნელად ყაზახების ზურგიდან წამოიმართება ვიღაც ნაბდიანი, ყაზახები შეკრთებიან და აქეთ-იქით გადახტებიან თოფ-მომარჯვებული).

ერთი: ვინა ხარ!

მეორე: ვინა ხარ!

კობა: ჩუმად!

მესამე: მოიხსენ!

კობა: (მოიხდის ნაბადს, სანამ მის იარაღს შეეხებოდენ,—კობა ჯდება) დამშვიდდით!.. აქ ასე ყვირილი არ შეიძლება!

სამივე: გესროლით!

კობა: თოფის სროლის ნება რომ მოეცათ, მე თითონ გესროდით!— ყური დაუგდეთ!.. (უსტვენს)

(სტვენაზე ყოველი მხრიდან წამოიშლებიან რაზმელები)

ყაზახები: ყაჩაღები!

კობა: შეიპყრეთ!

ბეგლარ: (შემოდის, მასთან გოჩა) ორმა რკინიგზას უდარაჯოს... შარაზე, ყანებთან ხომ დგანან?

კობა: წავლენ:

ბეგლარ: დროა (მცირე ნაწილი რაზმელების ყაზახების ირგვლივ გროვდება, დანარჩენები ლოდებს ალაგებენ რკინიგზაზე).

გოჩა: მატარებელი მალე გაივლის, ძმობილო? (იარაღ ახსნილი ყაზახები სდუმან) რას დადუმებულხარ! შიშისგან საკუთარი ენა გადაყლაპე. თუ ჩემი რუსული არ გეყურება?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოლა: დაუბრებულია

გოჩა: ამას ხედავ!.. სახეზე ისე დაგიტრიალებ!

ყაზახი: საითკენ?

გოჩა: დაბლა.

ყაზახი: ნაშუალამევს. დროც არი მოსული.

მეორე ყაზახი: რომ გვეკითხებით. განა არ იცით?

გოჩა: შენ, შენი თქვი.

გოლა: სადაური ხარ ძმობილო!

ყაზახი: ყაზახი დონიდან.

გოლა: ლამაზია?—თქვენი მხარე.

ყაზახი: რა ვიცი! გვიყვარს.

გოლა: თუ აგრეა. ჩვენში რაღა მოგარბენიებდათ!

ყაზახი: მისი უდიდებულესობის სამსახური.

გოჩა: უდიდებულესობა... გინახავთ როდისმე? მისი უდიდებულესობა მიწიდან ორი ტკაველია.

გოლა: იცით რა კაცია...

ყაზახი: მეფე!—რას ამბობ! ჩვენთან გატოლებას რომ კადრულობდეს მეფეც არ იქნება. დიდი გენერალი კი, გვინახავს, — ცოტა ავია,—მრისხანე, მაგრამ თუ ასიამოვნე დასაჩუქრებაც უყვარს.

გოჩა: დიდი კაცი და პატარა არ არსებობს! ა! თითები არ მაჩვენო. თითები მეტ-ნაკლები იმიტომ არი რომ მტერს მოხერხებულად ყელში წასჭიდო!.. მაგალითად თქვენ უდიდებულესობას... თუ თუ არა მისი გათანასწორების საშუალებაც გვაქვს. ხმალის ერთი დაკვრა და გათავდა!.. (იცინის) ნასუფრალს მიჩვეულხართ თქვე არამზადებო. ჩვენ კი, ჩვენი შრომით ნაშოვ ლუკმას არავის დაუთმობთ.

ყაზახი: შრომა რომ არ გიყვართ ზედვე გეტყობათ.

გოჩა: ა! ხმა!—იქნებ გგონიათ მძარცველებთან იმყოფებით. აგერ ნახავთ როცა თქვენ ბატონს, აი, ის რომ არი,—ქარუმიძე—საყელოთი გამოვითრევთ მატარებლიდან.

გოლა: ყაჩაღები რომ ვიყოთ ძმავ,—მაშინ წითელ რაზმელიც არ გვერქმოდა.

გოჩა: შენ იცი, რას ნიშნავს წითელ რაზმელი!?—ჰო. და გამიგონეთ!—ხომ ნახეთ თქვენ მშიერ-შიშველი ხალხი.—როცა მათ სახლკარს ცეცხლს უკიდებდით უფროსების ბრძანებით. ჩვენ ვალდებული ვართ მათ მაგიერ შური ვიძიოთ! აბა ნაცარქექიებო, წვერცამეტა ღმერთს მადლობა შესწირეთ რომ მხიარულად ვარ,

და გუნება არ მაქვს თავი წაგაცილოთ! (შემობრუნდება, მდგრეს: „ზიზღით უცქერით ჩვენ ოქროს კერპებს, მეფის ტახტის ვართ მოსისხლე მტერი“)—იმღერე! (განაგრძობს სიმღერას: „ჩვენ მხარი მივცეთ ჩვენ ტანჯულ მოძმეთ“)...

კობა: გოჩა, ეი! კმარა! რა სასიმღერო დრო შეარჩიე; ქარაფშუტა!—ეხლა ის გვაკლია, ჩვენი მოსვლა შეატყობიო ცა და ქვეყანას.

გოჩა: მემღერება და ვიმღერი. შენ კი აყლაყუდა,—ეგ ლოდი დაგორე ლიანდაგზე, თუ არა თვითონვე გაგაწვენთ. არა უშავს ძვლები ისეთი მაგარი გექნება...

გოლა: რომ ორთქლმავალის ბორბლებსაც აიტანს, არა?

ბეგლარ: (ლოდს მოეკიდება) აბა!

გოჩა: (მიეშველება) ალმასხან ქარუმიძეს გულზე!

ბეგლარ: ბევრჯელ დაგვსხლეტია ხელიდან,—დღეს კი მგონია ვერ გადაგვირჩეს.

გოჩა: ჩვენი ტყვიები ჩააძაღლებენ!

გოლა: მოხსენებასთან ერთად, რომელიც ქალაქში მიაქვს გასაცნობად.

ბეგლარ: ჩვენი დევნით და ჩვენი ამბებით სურს წარჩინება!?

გოჩა: ამელამ ნახოს სად წარდგება წარჩინებული: როცა ტყვიებით ჩვენ ფეხებთან მოიკეცება, მივალ და ხანჯლით ამოვკორტნი თვალებს, რომლებიც დღე და ღამ დაგეშილი გვდევდა! (რკინიგზის ამოქოლვას ათავებენ).

2

რაზმელი: რა სიცივეა და რა ქარი. (ნაბადში ეხვევა)

ბეგლარ: ასეთი შემოდგომა არ მახსოვს (ლოდებზე წამოჯდება)

გოლა: სანამდე დროა თოფებს გავხედოთ. ყოველი ტყვია შევარჩიოთ მტრისთვის.

გოჩა: (ბეგლარს) წამო.

ბეგლარ: არ მცივა.

(რაზმელები შემოუსხდებიან ცეცხლს. ბეგლარი რჩება ნაბადში გახვეული მარტო! გოჩა შუაგზიდან დაბრუნდება,—მიუჯდება).

გოჩა: უგუნებოდ ხარ! რაღაც ბეგლარ.

ბეგლარ: ცუდი ფიქრი გაქვს იქნებ.

ბეგლარ: კარგი ვის ექნება!

გოჩა: ყველა გრძნობების ჩაკვლაა საჭირო!

ბეგლარ: ეგ. რომ ასე იყოს აღარც ვიბრძოლებდით... მაგრამ გაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხელ, ოჯახიდან ამბავს მოველი და გული მირბილდება.

გოჩა: საკვირველია!

ბეგლარ: შენ სხვა ხარ გოჩა, მარტოხელა,—შენს იქეთ არვინ გეგულება.

გოჩა: ამით ხომ არ გინდა მითხრა ბეგლარ,—რომ შენ მეგობრად არ ვარგივარ!

ბეგლარ: არა, რას ამბობ! მე ჩემს შესახებ ვლაპარაკობ. ეხლა როდესაც ცეცხლი უნდა დაუნთო მტარვალს, რატომღაც მიტოვებულ ოჯახზე ვფიქრობ... ეს ხომ დაცემაა!...

გოჩა: რა გითხრა!

ბეგლარ: თვე შესრულდება,—შინ არ ვყოფილვარ,—და მენატრება...

გოჩა: (ღიმილით) კარგი ცოლი რასაკვირველია.

ბეგლარ: ე! შენ ვერ გამიგე:

გოჩა: (უნდა რაღაც თქვას)

ბეგლარ: კარგი! დაჩუმდი.

გოჩა: გახედე! (გადახტება)

ბეგლარ: ჩვენებია.

გოჩა: ვინ მოდის?

რაზმელი: პურმარილი. (შემოვა სანოვაგით დატვირთული მასთან ბეგლარის დები ნაბდებით. წითელ რაზმელები ხვდებიან სიხარულით).

ბეგლარ: თეონა! მაგდა!

დები: ხელზე რა დაგემართა?!

ბეგლარ: არაფერი. გუშინ ყაზახების რაზმები შემოგვერტყენ. დიდი ბრძოლა გვქონდა. გავედით.

მაგდა: ხელი!

ბეგლარ: ხომ გითხარ,—ტყვიას გავეკაწრე. შინ როგორ არიან? რახანია თქვენი არაფერი ვიცი.

თეონა: კარგი რა გითხრა,—მოგიკითხეს.

ბეგლარ: ჩემი ბავში რას შვება? ცოლი, დედა.

დები: კარგად არიან.

ბეგლარ: მერე?!

მაგდა: ბეგლარ შენ ალბად ყრუდ მაინც გეტყოდენ.

ბეგლარ: რას...

თეონა: ამას წინად ყაზახები დაგვესხენ.

ბეგლარ: ვიცი. სახლ-კარი გადაგვიწვეს.

თეონა: ღამით ქურდულად ცეცხლის ალში მისცეს ჩვენი ოდა.

მაგდა: შეშინებულები შიშველ ტიტველი გარედ გამოვცვივდით.

თეონა: შარაზე იდგენ ყაზახები და შემოგვცქეროდენ. აბა, ერა შვილას მოვთხოვდით.

ბეგლარ: მეზობლები?

თეონა: ვერ შემობედეს.

მაგდა: შენმა ცოლმა კი ნაცრად ქცეული ოდა რომ ნახა, მეორე დღესვე მშობლებთან გაქუსლა.

ბეგლარ: უსულგულო!.. სხვა თქვით რამე.

თეონა: ლოლასგან ბარათი.

ბეგლარ: მომე. (ჰკითხულობს. სახე თანდათან ეხსნება ღიმილით. მერე უეცრივ მოიღუშება) საცოდავი!.. (წერილს დაკუჭავს და გადაისვრის) მე კი მეგონა გმირი იყო...

გოჩა: (აიღებს წერილს)

ბეგლარ: მადროვე (წერილს ართმევს და ჯიბეში იდებს) ქალაქში არ მოდის ძმასთან ერთად... დარჩენილა. „სულით და გულით თქვენთან მიგულებდეთო“... (გაღიმებით) ბოლოს კი მეხვეწება ძმა შევიბრალო...და არ მოვკლა. „თქვენთვის წართმეული საქმეებიც საკმაო არიო“... ჩვენ კი გვაპატიოს და-ძმურმა სიყვარულმა და სწორედ მისი ხორცი გვშია... (მატარებლის შორეული კივილი. რაზმელები აიშლებიან).

რაზმელები: ბეგლარ!.. ბეგლარ.

ბეგლარ: მესმის! (თეონას და მაგდას) არა უშავს, მკლავი თუ შეგვრჩება ყველას გაუსწორდებით! (რაზმელებს) ბიჭებო აღარ ვიცი, რა უნდა იყოს კიდევ საჭირო, რომ უფრო მოგეცეთ გული და მამაცობა გამოიჩინოთ. ჩვენ შორის ყველა ბრძოლებშია გაზრდილი!.. კიდევ ერთხელ გამოვცადოთ მკლავის ძალა და მუხლის სიმარდე! ორ ჯგუფად გავიშლებით—ერთი რკინიგზის მარჯვნივ ჩასაფრდება,—თითო-თითოდ ჩამწკრივებული. მეორე მარცხნივ. მემანქანემ შესაძლოა, თითონვე შეაჩეროს სვლა. თუ არა შეუხტებით!... მაგრამ იცოდეთ არც ერთ მგზავრთან, ბოქაულ ქარუმიძის გარდა ხელი არ გექნებათ (მატარებლის კივილი ხელმეორედ. რაზმელები გაიშლებიან.) სმენა! მე ჯერ სიტყვა მაქვს. კობა! (გამოარჩევს რაზმიდან ორს კიდევ) თქვენ ფოსტას დაეცემით (რაზმელები მისდევენ რკინიგზას მარცხნივ) შენ? (ყაზახებთან დარაჯად დარჩენილს)

რაზმელი: ვყარაულობ.

ბეგლარ: უიარაღო ქონდრისკაცებს რა თვალი უნდა! იყონ და უყურონ ჩვენ გულმარდობას.

(გარბიან. თოფის სროლა, კვალდაკვალ მატარებლის კივილი. მისი გუგუნი თანდათან ახლოვდება. ბოლოს: სიბნელეში შემოვა ორთქლმავალი გაჩირაღდნებუ-

ლი. მემანქანესთან წითელი რაზმელია შემხტარი უკვე. მატარებელი ჩერდება. რაზმელები ვაგონებს შეესევიან. პაუზა. კონდუქტორები და მგზავრები ორთქლმავალთან გროვდებიან. უეცრივ ერთ-ერთ ვაგონის სახურავზე გამოჩნდება ბოქაული ქარუმიძე, მასთან მუცუტა,—გადარბიან მატარებლის სახურავებს, მოულოდნელად შესდგებიან და უკანვე მოისწრაფვიან, მერე ორივე გადახტება კლდეზე, სიღრმეში... მათ კვალში შემოსდევს ბეგლარ და ერთი რაზმელი, — გადახტებიან).

მგზავრი: (შენიშნავს) ბოქაულ ქარუმიძეს მისდევენ! შეხედეთ! (ყველა სცენის სიღრმეს მიაწყდება. თოფის ხმა. ამასობაში კობას და სხვა რაზმელებს გამოაქვთ სალარო. რაზმელები თანდათან გროვდებიან. მგზავრები ლოდებისგან წმენდენ რკინიგზას).

3.

გოჩა: (შემორბის, მასთან სხვები) ფული გამოიტანეთ? წავიდეთ!

ქალი: (კვალდაკვალ შემოსდევს) ჩემი ოქროს ჯვარი, ოქროს ჯვარი,— მომეცით! (მივარდება) ფულს მოგცემთ,—საფასურს!

გოჩა: (ხელს კრავს და იშორებს).

მგზავრები: ხალხსაც სძარცვავენ!

ბეგლარ: (შემოარღვევს ჯგუფს აღელვებული) თვალდახელს შუა გაქრა ფეხმოტეხილი!.. სალარო ხომ გატეხეთ?..

გოჩა: ჩქარა!

ბეგლარ: მოცდა რაღასია! (წითელ რაზმელები მზად არიან წასასვლელად).

ქალი: ჩემი ჯვარი. ოქროს ჯვარი!

ბეგლარ: რა გინდა!

ქალი: გამძარცვეს!

ბეგლარ: სტყუი!

ზოგიერთები: ყაჩაღები!

ქალი: (გოჩას) ფულს მოგცემ დამიბრუნე...

ბეგლარ: იგონებ საძაგელო. ხომ იცი ამისთვის რაზმელს რა მოელის.

გოლა: ვის რად უნდოდა შენი ჯვარი!

გოჩა: წითელ რაზმელებს მისი მადლი არ შეგვეწევა, სულ ერთია.

ქალი: ყელზე შემაწყვიტე!

ბეგლარ: გოჩა!

გოჩა: იგონებს!

ბეგლარ: (ქალს) გამეცალე!

ქალი: ჯვარი...

დედაბერი: (შემოვა რამდენიმე მგზავრთან ერთად) გამძარცვეს!

მგზავრები: წითელ რაზმელები მგზავრებს სძარცვავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა: (აპირებს მიმალვას)

ბეგლარ: (მიიჭრება მასთან) ჩამაბარე!

გოჩა: არაფერი მაქვს.

ბეგლარ: მალე! (ხელს სტაცებს გულჯიბეზე) ყაჩაღო!

გოჩა: (გადახტება და რევოლვერზე ხელს იტაცებს)

ბეგლარ: (დაასწრებს). გადმოდი. (უახლოვდება. გოჩა უკან იხევს. იმალებიან)

ხალხი: (სულგანაბული შეჰყურებს. დახანება).

გოჩას ხმა: ბეგლარ!.. ბეგლარ... (თოფის ხმა)

ხალხი: (შეკრთება. სიჩუმეა).

ბეგლარ: (გამოვა დადუმებული) იცოდეს ყველამ,—რომ წითელი რაზმელი მძარცველი არ არი... (ხალხს გადაუყრის ნივთებს და ფულს).

ლეო: (გამოეყოფა მგზავრებს) ბეგლარ!..

ბეგლარ: (შეხედავს გაკვირვებით)

ლეო: ეგ რაღა იყო?..

ბეგლარ: რაც ვთქვი და რაც მოხდა. ჩვენი სიტყვა და ჩვენი საქმე მუდამ ერთი იყო... გზა!..

4

(შენობის მეორე სართული. ოთახში ნელი ნაბიჯით დადის ბოქაული ქარუმიძე,—ჩაფიქრებული. პაუზა. ზარს რეკენ).

ქარუმიძე: მოხედეთ. (ხელმეორედ რეკენ).

მუცუტა: (გამოდის, მასთან ლოლა)

ქარუმიძე: რეკენ.

მუცუტა: (აღებს კიბის კარებს. უეცრად შეშინებული სასწრაფოდ მიხურავს) რაზმელი. რაზმელი!..

ქარუმიძე: რა!

ლოლა: რა!

მუცუტა: იგია, კარგად გავარჩიე.

ქარუმიძე: ალბად მოგეჩვენა. მარტოა? ვინ არის?

მუცუტა: მარტოა. (რეკენ)

ლოლა: ვნახავ! (მივა კარებთან) რომელი ხარ?!

ხმა: კარები გამიღეთ, სიტყვა მაქვს.

ლოლა: (სურს კარი გააღოს)

მუცუტა: ნუ!

ლოლა: მომეცალე! (კარს აღებს)

გოლას ხმა: ბოქაული მინდა ვნახო. მტრად არ მოვსულვარ.

ლოლა: კარგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუცუტა: მოვახსენებ. (ქარუმიძეს) უნდა, რომ გნახოს.

ქარუმიძე: რომელია?

მუცუტა: გოლა.

ქარუმიძე: (კარგა ხანს დგას დადუმებული, მერე—მაგიდის უჯრიდან რევოლვერს ამოიღებს, გასინჯავს და მაგიდაზე სდებს. თვითონაც ჯდება). შემოვიდეს. (მუცუტა კარს აღებს. გოლა შემოვა და ოთახის შუაგულზე შეჩერდება).

ქარუმიძე: შეგიძლია დაჯდე.

გოლა: (ჯდება).

ქარუმიძე: რამ გაიძულა მოსულიყავ?

გოლა: ადვილად ვიტყოდი. (ლოლას და მუცუტას გადახედავს)

ქარუმიძე: ისინი ყოველთვის ჩემთან ერთად სწყვეტენ საკითხებს.

გოლა: თუ საიდუმლოდ დარჩება ყველაფერი, — ეგაც შეიძლება.

ქარუმიძე: მე გისმენთ.

გოლა: თუ მეპატიება მე ყველაფერი რაც დღემდე ჩამიდენია, — გზა რომ შევცვალო.

ქარუმიძე: უფრო ახლო.

გოლა: ახლო ვარ. გიმეორებთ: — ეს საკუთარ ბედზე ფიქრია მხოლოდ. მარტო მოველ, და მტრად ვერ მიგულებთ. ამიტომ რასაც გეტყვით, — უნდა გჯეროდეთ.

ქარუმიძე: მე ვთქვი, რომ გისმენ.

გოლა: მე მინდა სიცოცხლე შემრჩეს და ვიქნე პატიებული.

ქარუმიძე: ამიტომ...

გოლა: მომცემთ პირობას, რომ ბეგლარი ხელთ ჩაგიგდოთ, — დევნას გადავრჩები.

ლოლა: როგორ!

ქარუმიძე: შენ განაგრძე.

გოლა: რომ ფიქრობთ, არც ისე საოცარია. ვერ ავიტანე! ჩემს ოჯახს ყოველდღე არბევენ, სწვავენ! ბავშები ყრიან მშიერ შიშვლები მათი დედა კი ავათ არი, — და მე ტყედ გასულს არა მაქვს უფლება კერას დაუბრუნდე!

ქარუმიძე: მართლადაც.

გოლა: ერთ სოფლიდან ვართ, ყმაწვილობა ერთად გვქონია, — მგლად გაჭრილ კაცს შინ დაბრუნება სურს, — მომეშველე!

ქარუმიძე: მე წითელ რაზმელს თოფით დავდევ! — კარგად იცი.

გოლა: ისინიც.

ქარუმიძე: მით უფრო! გუშინწინ მატარებელს დახვდენ და ძლივს გაველ. შემომარბენიეს მთაბარი ფეხდაფეხ.

გოლა: მეც იქ ვიყავი.

ქარუმიძე: რა თქმა უნდა.

გოლა: ეხლა თქვენთან ვარ. და რაზმელებიც ქალაქში არიან.

სამივე: როგორ!

გოლა: მათ ყველაფერი კარგად იციან, — ბინიდან დაწყებული ფიქრებამდე.

ქარუმიძე: ეგ უკეთესია. მაგით საკუთარ თავს წააგებენ მხოლოდ, — მე მითქვამს.

გოლა: შესასრულებლად ჩემი დახმარება დაგჭირდებოდათ ისე კი თვითონვე დგეხართ საფრთხეში... მომისმინეთ. — მე ბეგლარის პირადი მტერი ვარ. — ვიქნები! ეს მდგომარეობა, რომ არ ვთქვა, — ისიც კმარა, რომ სწორედ გუშინწინ მან ჩემი ძვირფასი მეგობარი მოჰკლა! — ეს გოჩა. გეტყოდენ.

მუცუტა: გოჩა!

გოლა: ამის შემდეგ, მე მოსისხლე ვარ.

ქარუმიძე: მე მჯერა შენი. მითხარ ყველაფერი და ჯილდოს მიიღებ.

გოლა: შუამდგომლობა მსურს თქვენგან მარტო მთავრობისადმი. სხვა კი, ამ უბნის პოლიციის მოხელეს ვიცნობ, — ჩვენებურია და იმას გავანდე.

ქარუმიძე: რა გსურდა გეთქვა?

გოლა: რომელი საათი იქნება ეხლა?

ლოლა: ექვსია.

გოლა: საათის შემდეგ აქ მოვა!

აქარუმიძე: ვინ?!

გოლა: ბეგლარი.

ლოლა, მუცუტა: ბეგლარი!

გოლა: ყური დამიგდეთ, იგი სამხედრო ტანსაცმელით შემობედავს, სახე შეცვლილი. თითქო გენერლიდან იქნება მოგზავნილი, — აი, იმისგან, თქვენ რომ გსურთ ნახოთ და მოხსენება გააცნოთ ჩვენზე. ეს ყველაფერი კარგად იცის, მისგან ბარათს მოგცემსთ. ბარათში სწერია რომ მოხსენებით უნდა გაჰყვეთ...

ქარუმიძე: და ორივ ჩაგვკლან!

გოლა: უთუოდ. თქვენ კი შეგეძლებათ მოხსენებასთან ერთად წარადგინოთ.

ლოლა: ეს გაუგონელი გამარჯვება იქნება!

ქარუმიძე: კმარა! (რევოლვერს მიუღერს.) მოიხსენი იარაღი!

გოლა: (განცვიფრებული წამოდგება)

ქარუმიძე: (მუცუტას) მოხსენ! (მუცუტა ხსნის)

გოლა: თქვენი მოქმედება ვერ გავიგე.

ქარუმიძე: (დაუშვებს რევოლვერს) სჯობია, მუცუტა! — ყაზახებს და-მიძახე!

გოლა: მე მოვიყვანე. ეზოში დგანან.

ქარუმიძე: !?

გოლა: პოლიციის მოხელეს ვიცნობ — მეთქი, აკი ვთქვი. ვიცოდი საჭირო იქნებოდა.

ქარუმიძე: კეთილი... შენ მაინც მომგვარე. (გოლას) რამდენია?

გოლა: ორიოდე.

ქარუმიძე: მაშ ჩადი და შენ თვითონ ამოიყვანე.

გოლა: (გადის უკანა კარებით)

ქარუმიძე: ლოლა, უთვალთალე. (ლოლა გაჰყვება)

მუცუტა: კი მაგრამ შენ გჯერა? გოლასი.

ქარუმიძე: რატომ. თუმცა ეგ, არც არი საჭირო.

(დგას ერთ ადგილზე ჩაფიქრებული. პაუზის შემდეგ შემოდის ლოლა).

ქარუმიძე: გოლა სად არი?

ლოლა: აივანზე, ყაზახებთან.

მუცუტა: რაღა საჭიროა ჩემ მიერ მოყვანა?!

ქარუმიძე: რომ ვთქვი შემისრულე! (ლოლას) იყავი მათ ახლო. (გადის მარჯვნივ).

ლოლა: იგი ხომ გამცემია, მოღალატე.

მუცუტა: მოღალატე უფროა საშიში.

ლოლა: (თავისთვის) არა! ვეტყვი. ერთი გამოსავალი. ისე ხომ მოჰ-კლეს!

მუცუტა: რა თქვი?,

ლოლა: არაფერი! უნდა უთხრა ალმასხანს და დავაჯერო... (გარბის მარჯვენა კარებით)

მუცუტა: არ მესმის!.. (კარებს მიუახლოვდება თუ არა, ვიღაც მოურახუნებს. ჯერ შიშით კედელს გაეკვრება. მერე მიმართავს:) ვინა ხარ?

ხმა: მე ვარ.

მუცუტა: (სიფრთხილით აღებს კარებს. კარებში კორნელია, — სოფლიდან ჩამოსული. შემოვა და ხურჯინს შემოათრევს).

კორნელი: ვახლავარ. ხომ კარგად ბრძანდებიან.

მუცუტა: (არაფერს ეუბნება. გავა და კარებს მიიხურავს. კორნელი რჩება მარტო. დგას უხერხულად ერთ ადგილზე, გაკვირვებული).

კორნელი: ლოლა!... ლოლა... სტუმარი ვარ. ლოლა... (შუა ოთახში ხურჯინს სდებს და ჯერს და კედლებს ათვალიერებს. დახანების შემდეგ გამოდიან: ქარუმიძე და ლოლა).

ქარუმიძე: ეგ გეგმა მომწონს. მე და მუცუტაც მოვალთ უმალვე.

ლოლა: გენერალს უფრო გააკვირვებს (შენიშნავს კორნელის) შეხედე!..

ქარუმიძე: ბიჭოს!.. (ლოლას) ვიცი რაც აწუხებთ — მოხსენებაში, რომელიც გენერალს უნდა წარვუდგინო მათი ამბები, მათი გეგმები და მათი ყველა თანამებრძოლის ვინაობაა შეკრებილი. ბევრი არც კი ჰყავს შენიშნული ჯერ მთავრობას. ჩემ ოთახშია ყველაფერი. დროც არ გვრჩება და შენ იცი. (უჯრიდან იღებს ქაღალდებს და პორთფელში ალაგებს)

ლოლა: (მიაქვს პორთფელი)

კორნელი: ლოლა! შენთან სიტყვა დამაბარეს. ლოლა! ღმერთო აქ რაღაც ამბავია.

ქარუმიძე: კარგ დროზე მოხველ.

კორნელი: ჩემო ბატონო, შეპირებისამებრ სოფლიდან ცნობები. წერილი. ძღვენი. თქვენი ამბავი მოგვივიდა მატარებელს რომ დახვედროდენ...

ქარუმიძე: მერე იყოს.

კორნელი: (პაუზა. აღარ იცის რა თქვას) ქალაქში სითბოა, სოფლად სიცივეებია უკვე. (ზარს რეკენ)

ქარუმიძე: ნუ თუ!

კორნელი: ზარს რეკენ (მიიჩქარის კარის გასაღებად)

ქარუმიძე: ჯერ ნახე აივანზე ყაზახები თუ დგანან.

კორნელი: (გაკვირვებული შემობრუნდება)

ქარუმიძე: ჩქარა! თუ ასე მალე მოვიდა, საეჭვოა.

კორნელი: დგანან.

ქარუმიძე: გაუღე. (ჯდება მაგიდასთან. რევოლვერს იდებს მარჯვნივ.)

კორნელი: (კარს უღებს)

5

ბეგლარის ხმა: ბოქაული ქარუმიძე.

კორნელი: შინ გახლავთ.

ბეგლარი: გადაეცით გენერლისაგან. (წერილი)

კორნელი: ვიღაც სამხედროა.

ქარუმიძე: (წერილს გადიკითხავს. გაღიმება. დაფიქრების შემდეგ). შემოვიდეს.

ბეგლარ: (შემოდის ოფიცრის ნაირად შეცვლილი) მაქვს პატივი მოგახსენოთ, — მისი ბრწყინვალების გენერლისაგან.

ქარუმიძე: დაბრძანდით.

ბეგლარ: (ჯდება) წერილი უთუოდ გადიკითხეთ.

ქარუმიძე: თქვენ რას დაუმატებთ?

ბეგლარ: ვერაფერს. ვიცი რომ გენერალი გელოდებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარუმიძე: და უნდა გაგყვეთ?

ბეგლარ: სურვილისამებრ.

ქარუმიძე: კარგი. თქვენ მასთან მსახურებთ. არა?

ბეგლარ: (სურს უპასუხოს.)

ქარუმიძე: ვიცი თქვენი სახე როგორღაც მაგონდება. — მგონი შევხვედრივართ.

ბეგლარ: ადვილად შეიძლება. საქართველო დიდი მთავრის ერთ ხელის გულზეა მოთავსებულია, — მოგახსენებენ.

ქარუმიძე: მაგრამ მის მერე რატომღაც გამხდარხართ!

ბეგლარ: შესაძლოა.

ქარუმიძე: სახე შეგცვლიათ!

ბეგლარ: არა მგონი!

ქარუმიძე: მშვენიერი წვერულვაში გქონდათ. გაკვირვებას ვარ, როგორ გაიმეტეთ!?

ბეგლარ: (წამოდგება) ჩემო ბატონო! — ნაბრძანები მაქვს მალე გავბრუნდე. მოხსენებასაც რა თქმა უნდა უცდის გენერალი.

ქარუმიძე: მანამდე. (წამოდგება) ერთი უჩვეულო კაცი მსურს განახოთ. (კორნელის) გადი და მათ შორის რომელიც ქართველია მომგვარე.

ბეგლარ: რაა უჩვეულო ქართველობაში?

ქარუმიძე: ეგ უკანასკნელი მას აკლია.

ბეგლარ: არ მესმის!

გოლა: (კორნელის შემოჰყვება.)

ბეგლარ: (შეკრთება) ვინ!.. (თავს იკავებს, ქარუმიძეს მიუბრუნდება) ზნეა პირდაპირ. ხშირად მემართება. ამ კაცს რომ შეეხედე, — ძმა მეგონა. აბა, ეს როგორ იქნება, როცა საცოდავი ბეგლართან ბრძოლაში მოჰკლეს:

ქარუმიძე: ბეგლარ! (რევოლვერს მიუღერს) ყაზახები!.. (შემოცვივდებიან ყაზახები. მოხსნიან იარაღს. აპატიმრებენ.)

გოლა: ეგ არი.

ბეგლარ: მაგ რომ თქვი ოქროთი აგავსებენ. (ქარუმიძეს) ფეხმოტეხილო, სიკვდილის არა დროს არ მშინებია.

ქარუმიძე: მოგკლავდი, ცოცხალი მეტი რომ არ ღირდე.

ბეგლარ: შენ არც მაგით დაგედება ფასი.

ქარუმიძე: შეჰკარით!

ყაზახები: შეკრული გახლავთ.

ქარუმიძე: პორთფელს ეხლა გამოგიტან. უკეთესია. შენ მიერ შექმნილ ამბებთან ერთად წარდგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეგლარ: ისინი მხოლოდ ნათელს მომფენენ, და გმირად გამხდიან.

ქარუმიძე: ვნახოთ. (გადის)

გოლა: (მიაცილებს კარებამდე, მერე უეცრივ ყაზახებს ანიშნებს)

ყაზახები: (უმალვე ანთავისუფლებენ ბეგლარს. შეშინებულმა კორნელმა არ იცის რა ჰქნას).

ქარუმიძე: (შემოდის—ხელში პორთფელი უჭირავს. „ყაზახებს" უთითებს კარებზე. რაზმელები მოუღერენ თოფებს. ბოქაული შეკრთება).

რაზმელები: ხმა!

ბეგლარ: იარე. თუ ხმას აიმაღლებ არ დაგინდობთ. (გადიან)

კორნელი: (სანამ ფეხის ხმა მიწყდებოდეს შუა ოთახშია გაჩერებული. სდუმს). ლოლა... ლოლა... ალმასხანი წაიყვანეს ლოლა... ალმასხანი წაიყვანეს... რა ცუდათ წახდა საბრალო ალმასხანი (დარბის ოთახში უთავბოლოდ).

6

(შემოდის ბეგლარ; კვალდაკვალ შემოჰყვება კობა).

კობა: ეხლა მაგის დრო არ არის ბეგლარ. არ გირჩევ.

ბეგლარ: ლოლა უნდა ვნახო. იგი დღეს გმირია! მან სძლია თავის თავს. მე კი შეიძლება ამის შემდეგ ველარსად შევხვდე. ისინი ხომ სამშვიდობოს არიან?

კობა: ეტლში ჩაიჯინეს. (გაბრუნდება უკანვე)

ბეგლარ: (შენიშნავს კორნელს) საღამო მშვიდობისა...

კორნელი: (შეშინებული) ბეგლარ!..

ბეგლარ: ნუ გეშინია, პასუხს არ მოგთხოვ. ვინც ლუკმა გაჩუქოს. მას გაუღიმე. სოფლიდან ძღვენიც მოგიტანია... მაგრამ ბატონი? სად წაიყვანეს შენი ბატონი?!.

კორნელი: ღმერთო შენ მიშველე ეხლა.

ბეგლარ: კარგი. ლოლას დამიძახე. ხომ აქ არი.

კორნელი: შინ არი.

ბეგლარ: გამიღიმე. დიდიხანია არ გიმსახურია ჩემთვის. (მივა მაგიდასთან გამოსწევს უჯრას და ქაღალდებს ჩხრეკს).

კორნელი: მე არაფერ შუაში ვარ... (აპირებს მეორე ოთახში გასვლას ლოლას მოსაყვანად, რომ უეცრივ კარებში გამოჩნდება ბოქაული ქარუმიძე, კორნელი გაშშდება).

ბეგლარ: (შეხედავს) როგორ!.. როგორ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარუმიძე: ბეგლარ!.. (კედელს გაეკვრება).

ბეგლარ: ვიცოდი...

ქარუმიძე: ვიცოდი...

(რამდენიმე ხანს დგანან შეურხევლად პირისპირ. მერე უეცრივ ქარუმიძე მოწყდება ადგილიდან, ერთი ნახტომით მივარდება ფანჯარას და გადახტება).

ბეგლარ: ღალატი... ღალატი... ლოლა! (ფანჯრიდან ესვრის ტყვიას რამდენჯერმე) გამასწრო...

კობა: (შემოვარდება) რა მოხდა!..

ბეგლარ: ე. ეხ!.. (გარბის).

კობა: (წუთით მოფიქრების შემდეგ, გადახტება ფანჯარაში. სახლის ყველა კარები დაღებულია. სიჩუმე. ოთახში მარტო კორნელია, იატაკზე გართხმული).

კორნელი: (წამოდგება) თქვენი არ-იყოს, ვერაფერი გავიგე.

მეოთხე ნაწილი

1

(მიტოვებული, ქოხი ქალაქ გარეთ. კუთხეში განმარტოებით ლოლა დგას კედელს მიყრდნობილი, ბოქაულის ტანსაცმელში. რაზმელები სხედან. სიჩუმეა. დიდი პაუზა).

1 რაზმელი: (ფანჯარასთან მდგომი) რამდენი ხანია ვიყურები და კაცი კი არ სჩანს.

გოლა: ახირებული ხარ. თავს სამიზნებლად გამოგიჩენენ პრ იცი თუ არა.

მესამე: ქოხის გარშემო ჩასაფრებულნი საკბილოდ გველოდებიან.

მეორე: მაინც რა იყო რომ კვალში მოგვდიეს.

მესამე: იცის ალმასხან ქარუმიძემ, — ბებერი მგელია — თვალი არ უმტყუნებს და ყნოსვა.

რაზმელი: რა გვეშველება!

მეორე: სად არი ბეგლარ!

მესამე: თითო-თითოდ ამოგვჟლეტენ!

გოლა: კმარა!..

რაზმელი: ტყვიას კი ვერ გვესვრიან ჯერ-ჯერობით.

მეორე: ვერც ბოქაული ქარუმიძე გაიმეტებს თავის დას...

მესამე: დაგვიფაროს და-ძმურმა სიყვარულმა.

მეოთხე: სანამდე გინდა რომ გაუძლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხუთე: ისინი სად შერჩენ.

გოლა: მათ კარგად იციან თავისი საქმე. მოვლენ.

რაზმელი: ქარუმიძის დის გულისთქმაც რა თქმა უნდა.

მეორე: არა, გულდაგულ იმ სიშორიდან ჩამოვსულვართ, ბოქაულის სახლში შეგვიბედავს. და მტრის მაგიერ ხელში უსულგულო ქალი შეგვრჩეს!..

მესამე: არ დამიჯერეთ თუ არა, — მოგვეკლა!

მეოთხე: მერე ოთახში მთელი საათი თავზე ვადექით.

მეხუთე: ჩავარდებოდით.

გოლა: თანაც მთავარი მოხსენების გამოტაცება იყო.

რაზმელი: სად არი ბეგლარ! რამხელა ნდობა ჰქონდა ამ ქალის.

მეორე: ჯერ არაფერი იცის ალბად.

რაზმელები: ლოლა!

რაზმელი: რა მეგონა. მერე როგორი გულისცემით მოვაქროლებდით!

მეორე: რა ცუდათ ჩავარდით!.. (პაუზა)

პირველი: ჩემი ცოლშვილი მშიერ-შიშველი მიმიტოვებია, და ამ ფეხმოტეხილს უნდა ვსდიო...

მეორე: ფეხმოტეხილი ჩვენ ვართ თურა, — ის კაცი ასჯერ მაინც გაგვისხლტდა...

მესამე: როდემდი ვიჯდეთ აქ!

პირველი: შემოგვიცვივდებიან და წაგვახდენენ.

მეოთხე: კარგი-დღე არ გვადგას, მაგრამ არც მაგათ გასთენებიათ ჯერ.

პირველი: აბა, ჩვენ გამო, მთავარმართებელს ძილი აქვს გატეხილი... ეს ჩვენისთანა უბედურ დღეზე გაჩენილ ყაზახებს გვაწყვეტინებენ... თვითონ კი რა ექნებათ გართობის მეტი?.. (პაუზა. სიჩუმე).

რაზმელი: ყველაფერი მომძულდა ღმერთმანი...

გოლა: შეევედრე მოგეხმარება.

რაზმელი: ე! (იმღერის).

მეორე: ეხ. რა გამღერებთ.

რაზმელი: ჩემი გაჩენის დარდი, მეგობარო. (განაგრძობს სიმღერას. რაზმელებში სიჩუმეა და სიმშვიდე).

რაზმელი: თითქოს რაღაც იწვის!..

მეორე: თავს დაგვიარეს დავიღუპეთ! (სიმღერა წყდება. წამოცვივდებიან).

რაზმელები: რა გვეშველება!..

მეხუთე: ცეცხლი!..

მეექვსე: ცეცხლი წაგვიკიდეს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი: რა გვეშველება!..

მეორე: სად არი ბეგლარ!..

მესამე: სად არი ბეგლარ! .

მეორე: სად ჩაგვტოვა!..

პირველი: მასზე იყოს ჩვენი სისხლი!..

მეორე: ჩვენი ოჯახის უბედურება!..

გოლა: სმენა (სიჩუმე) ძმებო უარესი დღე დაგვდგომია, — მაგრამ ამ რიგად არ დავცემულვართ.

მესამე: შებრძოლება რომ შეგვეძლოს. მორჩილება არ გვჩვევია.

მეოთხე: რა ცუდათ ჩავარდით!

პირველი: დავმორჩილდეთ!

რაზმელები: არა!.. არა...

გოლა: ეგ ცეცხლი რაა, რომ ჩვენი სისხლის დენა დააშროს და გამ-ბედაობა!

მეხუთე: ჩავიფერფლებით და არც ერთი არ დანებდება...

რაზმელები: არა!.. არა... (ქოხს ეხლა ცეცხლი უფრო ედება)

გოლა: ძმებო. (სიჩუმე) ცეცხლში გამოწვა თვითმკვლელობა იქნება მარტო. არც ერთ მებრძოლს არა აქვს უფლება თვითმკვლე-ლობის...

მეექვსე: შევებათ მტერს, დაე ბრძოლაში დავეცეთ გმირულად.

რაზმელები: ბრძოლა!.. ბრძოლა...

გოლა: მომყევით (სიჩუმე. გოლა სანათურს ქუდს ესვრის, * სანათური ქრება. ბნელდება, გოლა გადახტება ფანჯარაში. მას თან გაჰყვება რამდენიმე. შემ-დეგ დარჩენილების ნაწილი კიდევ. მოისმის თოფის სროლა...)

პირველი რაზმ: დაიწყო...

ლოლა: საშინელება!..

პირველი: ღმერთო!

მეექვსე: გეყოფა.

პირველი: ვერ გავალ!

მეექვსე: მალე!

პირველი არ შემიძლია! გულღონე არ მყოფნის...

მეექვსე: მშიშარა ყოფილხარ!

პირველი: არა!.. შენ არ იცი... სიცოცხლე მწყურია.

ლოლა: დარჩეს. დარჩეს.

მეექვსე: ჩქარა! ხომ ხედავ... ჩაგაძაღლებ.

ბეგლარ: (შემოდის)

ლოლა და რაზმელები: ბეგლარ!..

ბეგლარ: რაზმელები სად არიან...

მეექვსე რაზმელი: მეგობარს ჰკითხე დარჩით და ერთმანეთს გაუზიარეთ გულისთქმა. (რაზმელს) აბა!—ხმა არ გამაგონო!

პირველი: ეხ! — (გადახტებიან)

2

ბეგლარ: (მივარდება ფანჯარას) საშინელება! საშინელება! — ეს რა ჩავიდინე... (დახანების შემდეგ ლოლას) ეგ არი შენი შველა.

ლოლა: როგორ მოხველ? ქოხი, გარშემო ხომ ალყა შემორტყმულია?!

ბეგლარ: რასაც გეკითხები ის მიპასუხე, უბედურო, ალბად შევძელ რომელიმე მხრიდან შემოპარვა. აქ რომ ვარ.

ლოლა: რას მოისწრაფოდი. საფრთხეში ხარ მოგკლავენ...

ბეგლარ: ამბავი მითხარ...

ლოლა: ვერ შევძელ. ძმა ვერ გავიმეტე. მე შენ მიყვარხარ ბეგლარ და მოველ! (მიუახლოვდება)

ბეგლარ: (იშორებს) არც ერთის სიყვარული არ იყო საჭირო. ჩვენ საქმე გვქონდა. ჩვენი ამბავი დროშა უნდა ყოფილიყო. ეხლა კი რა? — ქ ა ლ ვ ა ყ ი ა ნ ი. გამოვიდა... (ყრუდ: თოფის ხმა) აგერ... მათ მხეცებივით სდევენ და სიკვდილის წინ ყოველი მათგანი ეჭვი არ არი ჩემ სახელს იხსენებს წყევლა კრულვით... თავს ვუშველე? — არა! მე შემეძლო... მაგრამ თვითონვე ჩავდექ მტრების შუაგულ, რომ თანამებრძოლების ბედის მოზიარე ვყოფილიყავ... არაფერია... იქნებ ყველაფერიც ასე უნდა დამთავრებულიყო, ჩვენ ხომ მომავალ რევოლიუციის მაუწყებელი ვართ, ავენთეთ! დადგა წამი ჩაქრობის... და ჩემო ძმებო, — სისხლით და ხორცით. გმირული ბრძოლები ერთად გვქონია... ერთად დავეცეთ. (გადახტება)

ლოლა: ბეგლარ!.. (ღონემილეული ფანჯრის ჩარჩოებს ჩამოეკიდება. პაუზა).

ყაზახები: (შემოცვივიან).

ქარუმიძე: (შემოჰყვება, აქვეა მუცუტა) მიხედეთ... (ყაზახებს გაჰყავთ ლოლა). დასრულდა! ბრძოლები ჩადგენ!.. ეს წითელ რაზმელების სამარეა! — და რევოლიუციის... სიკვდილი...

(სიტყვების დაწყებისთანავე ფარდა ნელნელა იხურება, — დახურვამდე სცენის წინ ვიღაც წამოიმართება):

მისი ხმა: ბოქაულო ქარუმიძე თვალი გამისწორე გულს თუ გერჩის.

ქარუმიძე: (შეშინებული) კობა!

კობა: (ესვრის ტყვიას)

ქარუმიძე: (კვდება)

კობა: (მივა ფარდებთან) ძმების სისხლი აღებულია! ძმების სისხლი არ დაიკარგება!

3

(პიესის პირველი კადრი — კობა ამთავრებს საუბარს მუშებთან).

კობა: ერთი შემოხედვა ვერ შესძლო ისე მოკვდა. თავზარდაცემულები გარს შემოეხვიენ, მე ვიდროვე და ღამეში უვნებელი გზა ვიშოვე. ე, რომელი ერთი უნდა გითხრათ ბიჭებო, დიდი ხალისი იყო, მრავალი შეეწირა და მრავალი ვიბრძოდით, მაგრამ ხალისი და გამბედაობა როდი კმაროდა თურმე — გამოცდილება და დიდი გამძლეობა ყოფილა საჭირო. გაუძელით... (საყვირის ხმა) და აგერ სამუშაო დღე დგება კიდეც.

მუშა: ლაპარაკში ღამემ ისე გაიარა არც კი გამიგია...

კობა: ვიმუშაოთ. მთელი დრო ეს შავი მთები, ეს მაღაროები ჩვენი რომ ყოფილიყო ამისათვის ვიბრძოდით და რას იტყვით გვაქვს თუ არა უფლება ჩვენად გამოვაცხადოთ.

მუშები: ჩვენია, სისხლით გვიშოვია...

კინო:

1. ქარხნის საყვირი.
2. ქარხანა.
3. მუშები მოდიან ქარხანაში.
4. მუშები მაღაროდან მოაგორებენ დატვირთულ რონოდას.

კობა: აი, როგორ გვიბრძოლია, როგორ აგვდიდებია გულისთქმა და როგორ გაგვიტარებია ჩვენი შეურიგებელი დრო.

დასასრული

1928 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. ელელი

ის, რაც ახსოვს სოფელს

I

წინა დღით ზარბაზნების და ტყვიამფრქვეველების გრიალით შეშინებულმა სოფელმა ამ დილით მშვიდად გამოიღვიძა.

გუშინ გვარდიელებმა ჯვარდამწვარიდან მრავალი ყუმბარა „გამოუგზავნა“ სოფ. ცხუკუშერს და მის მიდამოებს. სკდებოდა ყუმბარები. ანგრევდა ნაკურალეში სახლებს, თხრიდა სასაფლაოებს ნასპერის მწვერვალზე.

ჯვარდამწვარს და მექვენაში მყოფი მენშევიკ-გვარდიელების რაზმები ემზადებოდენ ნიკორის ძირის ასაღებათ, მაგრამ სანგრებში ჩამსხდარი ლეჩხუმელი ბოლშევიკების შტაბი უკან დახევას არ აპირებდა. მათ იარაღი ნაკლები ქონდათ — ტყვიებიც უძვირდათ, მიუხედავათ ამისა, შიშს გულში მაინც არ უშვებდენ. კლდეკარებიც სიმხნევეს მატებდა მათ.

დილის მზემ ცხუკუშერის გორებს ნაბადივით წამოხადა ჩამოწოლილი ნისლი და გარკვევით გამოჩნდა მაღალი ველი.

გამოამინდებულ დილაზე შეფაცურდა სოფელი—დიდი და პატარა სამუშაოს შეუდგა. გაფაციცებით იხვეტება კალოებიდან საცვარავათ მიყრილი ბზე და კალოც კარგი დგება. ბავშები ხალისით ეზიდებიან პურის კონებს, სირბილით ისვრიან კალოზე. უფროსები—უმთავრესათ კი მოხუცები, ჩამდგარი არიან პურის კონებში და შლიან მას სალეწათ.

ხარები, რომელთაც ზურგზე ეხლაც ემჩნევათ სახრეთა სიგრძეები, ბლოშნიან ცვარიან ბალახს, ხარბათ გადადიან ახალ და ახალ ადგილებზე, ბავშები, რომლებიც საბელით თავს დასდგომიან ხარებს, უჭერენ თავს და ჩასძახებენ: „შე ბრაზის არჩივო კარგათ მოსჭამეო ბალახი“.

ჩაიგო კალო. ასრიალდა კევრები. კბილებ დამტვრეულ კაუებს ეხმარებიან ძველი დანები, ხანჯლის და ლეკურის ნამტვრევები.

მზე აღმართს შეუდგა. უახლოვდება სადილობის დროს. სიცხემაც იმატა. გახშირდა „დაუარეს“ ძახილი. ქალები გაკაპასებით შოლტავენ ხარებს. ზოგი მამაკაცი ორთითით გვერდებს ფხანს საბრალო პირუტყვებს.

დაუსრულებელი ქელვა... ხარებმა ენები დააგდეს, უკვე სადილობის დრო არის, ამიტომ ზოგმა ხარები გადააყენა. ენა წაგდებული ხარები გაგზავნეს წყლის დასალევათ.

თითქმის ეს დღე ჩვეულებრივათ ჩატარდებოდა, რომ მოულოდნელად გრიალის ხმას არ აეტანა სოფელი.

შემაძრწუნებელმა ხმამ—მთელი სოფლის თავისუფალი სუნთქვა შეგუბა—„დავიღუპენ“ იძახიან გლეხები.

შიშის ორომტრიალში აცურდა მთელი სოფელი.

ხმა ახლოვდება—მატულობს ჰაერის გრგვინვა.

თვითეულ სახლს გონია, რომ მის თავზე ინგრევა ქვეყანა.

ხმიანობა გაიზარდა. იფეთქა ბომბებმა, რამაც ააზანზარა სოფლელები და რადგანაც დარწმუნდენ მასში, რომ ეს რაღაც საბრძოლი რამეა, გასაქცევათ დაიწყეს მზადება.

გრგვინავს ქორი და შიშობს სოფელი.

— არ შეგეშინდეთ აჰეროპლანია... ჰაეროპლანია!—გაისმა მთელი სოფლის სიგრძეზე ჯარიდან ახლად დაბრუნებულ ალექსანდრეს ხმა.

ამ სიტყვებმა ბევრს გაახსენა შვილები, ქმრები, რომლებიც წასული არიან ომში და ვინ იცის, რომ იმათაც ეს მფრინავი არ დახოცავს.

აჰეროპლანი შებრუნდა, გასწორდა სოფლის გასწვრივ, გადაათვალიერა მიდამო და პირი იბრუნა.

მიმავალ ჰაეროპლანს ყველა მისჩერებოდა.

სოფელი უიარაღო იყო ამ დროს. ყველას, ვისაც იარაღი ქონდა, სადარაჯოებზე იყვენ წასული; ვისაც თოფის ხმარება შეეძლო, რაზმელებთან იყვნენ.

მაშ, ჰაეროპლანს ეხლა უბრძოლო მოედანი ქონდა სათარეშო, რომ მისთვის სილიკოს არ შეეშალა ხელი.

კამარაში გასწორებულ ჰაეროპლანს ვინტოვკა დაუშინა ჯარისკაცად ნამყოფმა სილიკომ.

სილიკომ მიაწვა რაც ტყვიები ქონდა. დარჩა მხოლოდ ათი, მაგრამ მეტის დამიზნებაც აღარ შეეძლო, რადგანაც ჰაეროპლანმა ხვამლისაკენ მიაშურა.

ჰაეროპლანი ხვამლს გასცდა და თვალიდან დაიკარგა.

მას მხოლოთ დიდხანს უყურებდა ბოლშევიკური ნიკორის წვერი — ხვამლი — გორმაღლით, ხოლო ჯვარდამწვარის მენშევიკურმა გვარდიამ კი წერილი მიიღო მისგან.

...„არ შეშინდეთ. საქმე კარგათ არისო.

სოფლებში საშიში არაფერია. შეუტიეთ“!

ამ ცნობის მიღების შებდეგ გვარდიელებში ბრძანება-ბრძანებას მოსდევდა; გაიცა განკარგულება რომ ამაღამ უნდა აიღონ ნიკორის ძირი.

II

ამ დროს კი სოფლელებს მზათ ქონდათ ხარჯი რაზმელებისათვის და საიდუმლო გზებით გაეშურენ მარჯვე ბიჭები გოდრებით დატვირთულები—ყველა იმ ადგილებში, სადაც რაზმელების მიერ იყო გაკავებული შემოსასვლელი გზები, სახელდობრ: ღვირიშის ღელე, ღარი, ნიკორის წვერი, ჯვარი და ხვამლი.

ნიკორის წვერზე თომა სვანიძის რაზმი ყველაზე უფრო მოუთმენლად ელოდა ხარჯს, რადგანაც ორი დღეა არაფერი ეჭამათ. მიუხედავათ იმისა, რომ სოფელი ახლოა, მაგრამ მისვლა შეუძლებელი გახდა მტრის ცეცხლის გამო—ყუმბარა-ყუმბარას ასკდებოდა ნიკორის გასწვრივ. ათიოდე კაცი თომას გვერდით ჩასაფრებული იყვნენ წვერიდან და ოსეთის სამხედრო გზატკეცილზე სულდგმულს არ აჭაჭანებდენ. მიზანს არც ერთი არ აცდენდა.

ამ საღამოს მისწყდა ტყვიების ხმაური. მხოლოთ ხვამლის და დღნორისის ქვემეხები აძლევდენ ერთმანეთს პასუხს.

ჯვარდამწვარი სდუმდა. ნიკორის წვერი პირში უდგა და სასიკვდილოთ უმიზნებდა. ორივენი გადამწყვეტ მომენტისათვის ემზადებოდნენ.

ნიკორის წვერის განკარგულებით აიყარა ნიკორის ძირის ხიდი. ჯვარდამწვარმა კი ზარბაზნები მიმართა ნიკორის წვერისაკენ.

ჯერ სიჩუმეა.

ნაშვადღევი იყო, როცა ხვამლს ნისლი გაეკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცა აჩეხილი იყო. აშლილი ღრუბლები გაკვროდენ მთიან წრეს და ადამიანს შორს ჭვრეტის უნარს უხშობდა. სოფლის თავზე ნისლით გაჟღენთილი ქარი ქროდა და ზანტათ, უსიცოცხლოთ ზნიქავდა ხავს მოდებულ ასწლოვან მუხებს, წიფლებს, ურთხელებს და ცაცხვებს. მათ შორის ყველაზედ უფრო ირხეოდა აშოლტილი, თითქოს ქუდივით ხელოვნურათ შეკრეჭილი მწვანით მოსილი ურთხელები. საყდრის მარცხნივ იდგა სასახლე, რომელიც ნისლში იყო გახვეული. ეს ის სასახლეა, რომელშიაც ერთ დროს სამეგრელოს თავადი დადიანი ზაფხულობით ისვენებდა, განცხომით ნადირობდა მწვანე კორდებზე და მათრახებით უმასპინძლდებოდა ყმებს. ამ სასახლის სითბო ახსოვდა მრავალ აზნაურსაც, რომლებიც დადიანს მშიერი ძაღლებივით ხელში მისჩერებოდენ.

აჩეხილ ღრუბლებიდან ხანდისხან გამოიჭვრიტებოდა სითბო გამოლეული მზე. ცხუკუშერიც დადუმებული იყო—ხალხი ჩვეულებრივი სიხალისით არ ხმაურობდა. ყველა თავთავის ქოხს შეჰყურებდა—ათვალიერებდა სიმინდიან ეზოებს და ზომავდა წლის მოსავალს. ხანდისხან ფოთლებ შეხრუკულ ადესასაც მიაშტერებდენ თვალებს.

ლეჩხუმში ყველა სოფელში არჩეულია ერთი თვალსაჩინო ადგილი, სადაც თავს იყრის ხალხი, კრებისათვის თუ სხვა სასოფლო საქმისათვის. უქმე დღეს, ხომ დილიდანვე აქ ნახავთ ყველას, ვისი ნახვაც გინდათ. დანარჩენ საქმიან დღეებში ყანიდან დაბრუნებული გლეხები აქ ისვენებენ და ვახშმობის დრომდე ისმის ახალგაზრდების სიმღერა და ცეკვა.

ეს ადგილი მოხდენილათ არის შვა სოფელში. ვერც ერთი გამვლელი ამ გზა-ადგილს ვერ ასცდება.

დღეს ხარეილას დილითვე მოეყარა ხალხს თავი.

ოციოდე კაცი მიყუდებოდა ღობეს და რაღაცას ჩაფიქრებით, გამჭრიახი გონებით სინჯავდენ. გლეხებთან ერთათ აქ იყო რამოდენიმე ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი პიროვნება. მათ ვინტოვკები, ბერდენები და ფრანგული „სამ პატრონიანი“ თოფები ქონდათ.

— საჩქაროთ უნდა, გავაკაოთ გამოსავალი გზები. მექვენაში უკვე შემოსულა გვარდიელების ჯარი,—წარმოსთქვა თომამ და თოფის ლულაზე ხელის დარტყმით ამხანაგებს გადახედა. ყველა დადუმებული იყო. მათ თოფები მიწაზე დაედგათ და ნიდაყვით ზედ დაბჯენოდენ.

— მეტი რა გზა გვაქვს—იყო სტეფანეს პასუხი.

— დაგვიანება საქმეს გაგვიფუჭებს, — უფრო დამარწმუნებელი გამოხედვით დაატანა თომამ, ლეჩხუმის აჯანყების ხელმძღვანელმა.

— ნიკორის ძირის განთავისუფლება შეუძლებელი არის — იქ არის მთავარი გამოსავალი გზა ქუთაისიდან, — აჩქარებით დაიწყო ახალგაზრდა სპარტაკელმა ინდიკომ, რომელსაც ჯერ მოწაფის ტანსაცმელი არ გაეხადა (ინდიკო ქუთაისიდან მოვიდა ამ ერთი თვის წინად და ახალგაზრდათა კომუნისტური უჯრედის ჩამოყალიბება დაიწყო ჩხეტიანთან ერთათ).

— როგორც გავიგეთ მექვენაში მენშევიკების ჯარი შემოსულია, მთაშავით აპირებენ გადმოსვლას და ერთი ნაწილი ხვამლს და გორმაღალს უტევს. შეიძლება ნიკორის წვერით ამჯობინონ წამოსვლა, რადგან ცხენის წყლის ნაპირებით წასვლა ცაგერისაკენ დიდ დროს მოითხოვს. ამიტომ აქგვმართებს მთავარი სიფრთხილე,—წარმოსთქვა ჭაღარა გლეხმა.

— ჩვენმა რაზმმა უნდა გაამაგროს ნიკორის წვერი — ჯვარი და ამ ხაზზე ყველა შემოსავალი ბილიკები. ალპანისაკენ ღვირიშლებია წასული.

— რა ვქნათ, რომ ყველას თოფები არა გვაქვს და ტყვიებიც გვიძვირს?—შეეკითხა ინდიკო.

— არა უშავს. რაც გვაქვს იმას უნდა დავჯერდეთ. ტყვიები არავინ დაწვათ უმიზნოთ. ანდრია! შენ ღარის თავი გაამაგრე წაიყვანე ოცი კაცი, მე ნიკორის წვერზე წავალ რვა კაცით და სხვები კი ჯვარისაკენ უნდა წავიდენ—სთქვა თომამ.

ამ ლაპარაკის შემდეგ, არ გასულა ნახევარი საათი, რომ ყველა დასახელებულ ადგილებზე, რაზმელები მოხერხებულ საფრებს აკეთებდენ და მტრის დასახვედრათ ემზადებოდნენ.

IV

ნიკორის წვერის გამაგრება ტვიშის კლდის დატოვების შემდეგ შეიქნა საჭირო... მენშევიკების გვარდიის უფროსმა ერთი ასეული, ბატარეიით ჯვარდამწვარზე დაბანაკა. ზარბაზნებით კაფავდა გზებს მიუვალ კლდეებში.

ჯვარდამწვარი ცხვირ წამოწეულ ნიკორის წვერს ხშირათ უშენდა ყუმბარებს. მთავარი იერიში კი ხვამლსა და გორმაღალზე მი-

ტკბილი ღიღინი გაიბა. რაზმელები ახლად მოტანილ სადილს შემოუსხდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კმარა, დროა სანგრებში წავიდეთ. ამაღამ ალბათ ბრძოლა მოგვიხდება,—დაატანა თომამ. წამოდგა თითონ აიღო თოფი, საკეტი შეარხია, დაკრა ხელის გული და მოხრილი გადავიდა სათვალთვალოზე.

სხვებიც ასე მოიქცენ, სულ განაბულები გადასჩერებოდნენ ნიკორის ძირს.

საღამოს ჟამმა მოატანა, ხვამლზედ ღურბელი გაჩნდა, იგრგვინა, მოიღურბლა.

— კარგათ მოეწყვეთ ამხანაგებო! წყალი არ ჩამოგიდგეთ. შეიძლება ასეთ წუწკ ამინდში გვიდროვონ.

თომას სიტყვა მართალი გამოდგა. ხვამლმა რამოდენიმეჯერ მწარეთ დაირუხუნა—გეგონებოდათ დედამიწა ინგრევაო. მთელი ცა შეშფოთდა. შავი ღრუბლები წამოიშალნენ და მიწის აფორიაქებას ლამობდნენ.

ჩამოღამდა. შეგუშავებული ჰაერის რხევა მეხის გრიალმა გაამძაფრა და დაუშვა კოკისპირული წვიმა. წვიმაში კოხიც გამოერია და და მთელი არემარე ყრუ ხუილმა შთანთქა.

ახმაურდა ქვაციხის წყალვარდნილი. მოზღვავებული ღელე ისროდა კლდეზე უზარმაზარ ლოდებს.

— როგორ განადგურდა წლის მოსავალი!.. ნელა ეჩურჩულებოდნენ ახლო მყოფი რაზმელები ერთმანეთს, რომლებიც მთლათ დასველებული იყვენ.

— ვენახები!.. გაფუჭდა ყველაფერი.

დაღამდა. კოხი გადაიღო, მაგრამ კოკისპირული წვიმა მაინც არ ცხრებოდა.

ელვის სინათლეზე დაინახავდით გაწოლილ ხალხს სიპებზე. ისინი უძრავათ იყვენ.

ელვა-ქუხილი თავისას არ იშლიდა, მაგრამ რაზმელები არ უშინდებიან.

გაიელვა ჯვარდამწვარმაც. გაისმა ზარბაზნის ხმა. ჯვარდამწვარის ზარბაზნებმა ცეცხლი გაუჩინეს ნიკორის წვერს.

დილით დამარცხებულმა გვარდიამ ეხლა იდროვა. სიგრძეზე მოწოლილი რაზმელები შემოკლდენ, მოიკრუნჩხენ საფრებში.

ასტყდა სასტიკი ბრძოლა.

ყუმბარის სინათლეზე დაინახავდით მობუზულ ხალხს. მათ თავზე წვიმასავით გადარბოდენ ყუმბარები.

VI

გადაიღო წვიმა... გამოჩნდა მთვარე, რომლის სხივები ისარივით დაეშვა გზატკეცილზე.

ნიკორის წვერი აფორიაქდა. ზარბაზანმა დასწვა ყველაფერი. შეუძლებელი გახდა რაზმის ძველ საფარში დარჩენა.

თომას სიმაგრის დატოვება არ უნდოდა. სხვებიც მას შეჩერებოდენ, როგორც გამოცდილ ხელმძღვანელს. მაინც იძულებული შეიქნენ და დასტოვეს.

მათი უკანასკნელი საფარი პატარა გამოქვაბული იყო, რომელიც ეხლაც ამბის მცოდნე გამვლელებს თვალწინ წარმოუდგენს იმ მშფოთვარე ღამეს. რაზმმა ქვაციხის ღელით შემდეგ მინაწყაროს გზით, დიდი უბედურობით და ტანჯვით გათენებისას მიაღწიეს სოფელში.

ნიკორის წვერის აღების ამბავი დილითვე ზარივით მოედვა სოფელს.

— დავმარცხდით. აგვიკლებენ. ჯარი მოდის. გაგვატიალებენ,— სწუხდენ გლეხები.

VII

წუხანდელი შფოთი წასულმა ჩაიბარა. პირმცინარე მზემ პირველი სხივები ნიკორის წვერს გაუგზავნა. ნიკორის წვერი მინგრეულ-მონგრეული იყო. ყუმბარებმა თავისებური კვალი დაამჩნია კლდის წვერს.

წინადღით გაპარული მენშევიკების ჯარი შემოსდგომოდა ნიკორის წვერის შემოსავალს იმ ვარაუდით, რომ ნაკურალეშს დახდომოდა, ღვირიშით მომავალ ჯარს.

სოფელში კი მღვდლის მეთაურობით თავად-აზნაურობა ემზადებოდა გვარდიელების შესახვდერათ.

ბოლშევიკური რაზმები მთებში გაიხიზნენ, რათა მომზადებულიყვნენ ახალი ბრძოლებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ნატროშვილი

ლიტერატურული შენიშვნები

ამ რამდენიმე წლის წინათ ქართველი ფუტურისტები მწერალთა პირველ ყრილობაზე ამტკიცებდენ: „ხელოვანი ვალდებული არ არის ანგარიში გაუწიოს მასის მოთხოვნილებასო. ჩვენ ვერ მოგვთხოვთ — ამბობდენ ისინი — რომ ჩვენი ნაწერები მუშებმა და გლეხებმა გაიგონ“. ეს ძლიერ ძველი ზღაპარია. ჯერ კიდევ რომანტიკოსები დაჰყურებდენ მასას ზიზღით ფეოდალურ ესტეტიკის სიმაღლეებიდან და თავის უნაზეს პოეზიის ფუნქციათ სთვლიდენ კეთილშობილი თავადიშვილების, მეშჩანების გემოვნების დაკმაყოფილებას. ყოველ შემთხვევაში ობიექტიურათ ასე გამოდიოდა. ამრიგათ წარსულის ტრადიციების ნიღილისტური მოწინააღმდეგე — „ფუტურიზმი“ თავის და უნებურათ მოექცა კონსერვატიულ აზროვნების გავლენის ქვეშ.

დღეს, რასაკვირველია, კულტურული რევოლუციის მიმდინარე პერიოდი ვერ მოითმენს გაუგებარ ხელოვნებას, რაც უნდა სტილისტური ხერხების ლამაზი კომბინაციებით არ იყოს ის აშენებული. „მემარცხენე ფრონტიც“ აღარ იზიარებს ნაწილობრივ თავის ძველ შეხედულებებს და ცდილობს პრაქტიკულ მონაწილეობის მიღებას საბჭოთა ქვეყნის კულტურულ მუშაობაში.

„მემარცხენე ფრონტის“ თეორია (მასებიდან მოწყვეტის) სავსებით უსაფუძვლოა. დღეს ამას მტკიცება აღარ სჭირდება. „ხელოვნება ხალხს ეკუთვნის“ (ლენინი) და ამიტომ ჩვენ მკვეთრათ უნდა ვიბრძოლოთ პროლეტარულ ლიტერატურაში ანალოგიურ განწყობილებათა შემოჭრის წინააღმდეგ. პროლეტ-მწერლისთვის მასებიდან მოწყვეტა ნიშნავს სოციალურ განადგურებას, ვინაიდან ლიტერატურა მძლავრი იარაღია აგიტაცია-პროპაგანდის. პროლეტარული მორალი ჯერ კიდევ ყალიბობის პროცესშია; საბჭოთა სამართალი და მთელი რიგი იდეური ზეგავლენის საშვალებანი (კინო, თეატრი, ლიტერატურა) ხელს უწყობენ ახალი მორალური ნორმების განმ-

მტკიცებას. აქ განუზომელია პროლეტ-მწერლობის აღმზრდელობითი ზეგავლენა მასებზე, მათი სულისკვეთების კომუნისტურ ყაიდაზე გარდაქმნის მიზნით.

რა არის ამ ამოცანის განხორციელებისათვის საჭირო? საჭიროა პირველ რიგში მკითხველის დაპყრობა. საბჭოთა კავშირში სოციალური გემოვნების მიხედვით მკითხველი ორ დიდ ჯგუფათ იყოფა: 1) პროლეტარული მკითხველი (მუშები, გლეხები, პარტია, კომკავშირი, საბჭოთა მოსამსახურეები) 2) მოსახლეობის ნეპმანურ-ობივატელური ნაწილი, რომელნიც მხოლოთ დროს გასაფლანგავათ, გასართობათ, მიწიერი ტკივილების დასაყუჩებლათ კითხულობს ლიტერატურას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროლეტ-მკითხველი ჯერ კიდევ არა გვყავს ჩვენ ყოველგან დასრულებული სახის.

აი ფაქტები:

ამას წინათ ქ. სიღნაღის ა. ლ. კ. კ. თემკომის აგიტპროპგანყოფილებამ კომკავშირელთა ლიტერატურული გემოვნების გამოკვლევის მიზნით გადასინჯა ქალაქის ბიბლიოთეკის დავთრები. აღმოჩნდა, რომ მკითხველის თითქმის 80% ეტანება მხატვრულ ლიტერატურას. როგორია ამ ლიტერატურის რაობა? კომკავშირლები ხარბათ ეწაფებიან იმ „ბულვარშჩინას“, რომელიც ბლომათაა თავმოყრილი ჩვენი ბიბლიოთეკების თაროებზე. პირადობაში განიცდიან ამ ლიტერატურის მძლავრ ემოციონალურ ზეგავლენას: ესენი ხელში სტაცებენ ერთი მეორეს „კვაჭი კვაჭანტირაძეს“, „დიონისოს ღიმილს“, „ჯაყოს ხიზნებს“, „ამოკს“, „პატარა დედაკაცს“ და სხვა მთელ რიგ სექსუალურ-ბულვარულ „მხატვრულ დისერტაციებს“. ცხადია, უაზრობაა კომკავშირელს დაუშალო მოწინააღმდეგე ლიტერატურის თავისუფალი კითხვა, ამას არავინ მოითხოვს, მაგრამ აქ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე. არა მარტო სიღნაღში არამედ ალბათ ბევრ ადგილზე აქვს ასეთ მოვლენას ადგილი.

სად უნდა ვეძიოთ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი?

ეს მტკივნეული მაგალითი გვიჩვენებს, რომ საჭიროა ბრძოლა იმისთვის, რომ პროლეტ-ლიტერატურამ გამოსტაცოს „ავადმყოფურ“ ზეგავლენას პროლეტარული მკითხველი. ეს უნდა მოხდეს მწერალის და მკითხველის სოციალური დაახლოვების გზით. უკვე ცნობილია, რომ კულტურულ რევოლუციის მიმდინარე პროცესში, პროლეტარულ მწერლობის სოციალური ფუნქცია განისაზღვრება სოციალისტური აღმშენებლობის და მასთან დაკავშირებით ახალი ადამიანის, ბოლშევიკი მშენებელის მხატვრულ-კონკრეტიულ გამოსახვით.

ამ გზით უნდა მოხდეს მკითხველის განწყობილებათა პროლეტარიზაცია. მაგრამ ამ ახალ ამოცანებზე გადასვლასთან ერთად ადგილი აქვს მრავალ გადამახინჯებას, სანტიმენტალურ გადახრას და რეციდივებს. ახ. ეკონ. პოლიტიკის პირობებში ეს გადახრები აიხსნება წვრილ ბუჟუაზიული სტიქიის მძლავრი დაწოლით და ზოგჯერ პრ. მწერლის კლასიური მსოფლმხედველობის სისუსტით. აქედანაა მემარჯვენე გადახრის საწყისები. ამ მიზეზების გამო ხშირათ ვხედავთ სიმახინჯის კონკრეტიულ შემთხვევებს: პროლეტარული პოეტი 1928 წელში ოცნებობს მთვარეზე, ეხვევა დეკადენტიზმის ბურუსში და ბოჰემური თავაწყვეტილობის იდეალიზაციას გვიშლის თვალწინ.

მართალია, ამგვარი გადახრები თანდათან შესუსტდა, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც იგრძნობა იგი. ამიტომ ხდება ხანდისხან მემარჯვენეთა და პროლეტ. მწერალთა იდეების „დაახლოვება". ამით ეცემა პროლეტ-მწერლობის ავტორიტეტი. თუ კი პროლეტ-მწერალი გულჩვილი სანტიმენტალიზმით მიუტირებს მთვარეს, მკითხველი მას არ წაიკითხავს, რადგან ტ. ტაბიძეს და ი. გრიშაშვილს, როგორც ამ მოტივების კვალიფიკატორებს უკვე დიდი ხანია „უკეთესათ" აქვთ აფერადებული ეს საკითხები.

არსებული მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ თუ გადავათვალიერებთ გასული წელის ლიტერატურულ ფაქტებს, დავინახავთ, რომ ზოგიერთი პროლეტ-მწერლის ნაწერი ობივატელს მოეწონება ალბომში გადასაწერათ:

კალე ბობოხიძე სწერს:

„ბაღნარს ცა ნისლებს ათოვს
და მაინც ყვავის ბუჩქი,
ისევ დავდივარ მარტო
კვლავ ჩემი გრძნობის ურჩი,
მე სიყვარულის ნაცვლათ
ისევ გრიგალის ტყვე ვარ,
გონებამ გრძნობა დაწვა
თითქო აქცია მტვერათ".

(„ახალგაზრდა კომუნისტი").

ეს მეტათ დამახასიათებელი განწყობილებაა. არ ვარგა მხოლოთ გრიგალის ტყვეობა იმ დროს, როდესაც შენს გარშემო შენდება ახალი ქვეყანა. სწორეთ ამ გვარი განწყობილების ილიუსტრაცია

იყო ამას წინეთ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდა“-ში: დახატული იყო ახალგაზრდა ჯოხის ცხენით, თვალები აბმული აქვს „რევოლუციონური რომანტიკით“ და მიექანება გრიგალურ თავდავიწყებით. იქვე გვერდზე მუშები აშენებენ ქარხნებს. თავდავიწყებული მხედარი კი, მათ ვერ ამჩნევს...

არის სხვა ხასიათის გადახრაც. პეტრე ქუთათელაძის ლექსი — „ნატეხები წარსულიდან“ ჰქმნის მოდუნების და ლირიკული სიტკბილის შთაბეჭდილებას. რევოლუციონერის წარსული არ წარმოადგენდა სანტიმინტალიზმის ბურუსში გახვეული ადამიანის მოქმედებას, როგორიც ეს ამ ლექსშია ნაჩვენები. ლექსში მოხაზულ პერსონალს (თუ თვით ავტორს) „უყვარდა მთები, მწვანე ველები, სიყვარულში ეძებდა საშველს... სული ნიავს უგავდა და პატარების ჟრიამულში (?) ახრჩობდა გულზე შემოწოლილ სევდას“. ის „ლირიკულ განცდებს მკვნესარ თარივით მთებში ჰფანტავდა, ცამდე ოცნების ავარსკვლავებას აპირებდა“. დღეს პროლეტარული პოეზია არ უნდა მეტყველებდეს ასეთ ენაზე:

„და მოლოდინში სასო მოხდილი,
მაინც იმედით ვუჰვრეტდი მთვარეს,
მთვარეს, რომელიც თვალებ მიბნედით
გავდა კუბოში ქალს მწოლიარეს...
... და ჩემს სიყვარულს ვარდივით აზისს.
იმ ლამაზ ქალს, რომ სულში უფრინავს
— შემოვეხვევი ვით უსურვაზი
და სასეირნოთ გავყვები ნიავს... („ქართ. მწერ. № 1 1928 წ.)

პეტრე ქუთათელაძე დანარჩენ ლიტ. ფაქტებში ბოლშევიკური ნებისყოფით მეტყველებს. ამ ლექსში კი ინერციულათ წამოსულია პოეტის სანტიმენტალურ წარსულიდან ლირიკული ტალღა.

ი. ვაკელი წარსულ წელს უფრო მარჯვნივ იდგა ვიდრე ქუთათელაძე. თემატიურათ ვაკელი უფრო ეფექტიურია, იგი გაბედულათ ეხება ახალ ყოფიდან ამოღებულ თემებს, მაგრამ ამ საკითხებს იგი დაცემულობის პრიზმაში ატარებს და ბოჭავს თავის შემოქმედებითი უნარს ბურჟუაზიული სიმახინჯით.

„გამოთხოვების სამძიმარი“, ეპიური ლექსია.

თემა: სიყვარული და კლასთა ბრძოლა.

შინაარსი: პოეტს წარსულში უყვარდა თავისზე „უფრო ცნობილი და მდიდარი ქალი“. მიჯნურთა შორის სოციალურათ ჩატე-

ხილ ხიდს ართულებდა „სითამამე“, „ჭაბუკი მუშა“ უმზერდა გაბედულათ თვალებში საყვარელ ქალს. ასეთ ცქერაში ილეოდა დღე და ღამეები.

„უიმედობის კაეშანით დაღონებული“ მუშა ფიქრობს ქალის გულის მონადირებას. ამ მიზნით მიართმევს „პატარა ძეგლს“, დაჰქვითინებს თარზე, მაგრამ ეს ქალზე გავლენას ვერ ახდენს. ბოლოს მარჯნის საყურე გადააქცევს ქალს მიჯნურის მონათ.

როგორც ვხედავთ, გამოაშკარავებულია უსაქმო ქალშვილის მეშჩანური ფსიქოლოგია. ამ მხრივ ლექსი დადებითი მოვლენაა...

შემდეგ მოდის რევოლუცია... სატრფო მუშას თან ახლავს ბრძოლაში, მაგრამ აი:

„როდესაც გრიგალი ჩადგა
და ცაც სხვაგვარათ გადაისუდრა
შენ ჩამომშორდი სწორეთ იმ დროს,
როდესაც დაღლილს,
მყუდრო ბინა და ალერსი მსურდა“.

მიმართავს „უიმედოთ დაშორებული“ მიჯნური ქალს, მიუხედავად იმისა, რომ წინადვე იგრძნო მისი სხვაობა.

ეს სტრიქონები აუცილებლათ „ობივატელშჩინის“ გავლენას ამჟღავნებენ. რუსეთში უტკინის და მოლჩანოვის მგზავსმა გამოსვლებმა ამ მიზეზის გამო გამოიწვია სამართლიანი თავდასხმა.

„ვინც დაიღალა მას აქვს უფლება
მდინარის პირას წყნარი დასვენების“

(ივ. მოლჩანოვი .

ამას ამბობდა რევოლუციით თავბრუდახვეული ობივატელი, რომელიც დაიღალა განვლილ ბრძოლებში და „მყუდრო ბინა და ალერსი მოესურვა“. ამ გვარი ხასიათის ლირიკული სითბო და ქავილი იწვევს დაცემულობის და ბოჰემის გაღვივებასაც.

ასეთი გადახრები აუცილებლათ ხელს უშლის პროლეტ. ლიტერატურის გადასვლას ეპიური ჟანრის ლიანდაგზე. ბრძოლა ჰეგემონიისთვის უნდა წავიდეს გადახრების დაძლევის გზით.

გარდა ამისა პროლეტ.-მწერალთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია კონკრეტულობისათვის. ახალი ადამიანი უნდა მოხაზული იქმნას არა ზოგადათ, ტრაფარეტულათ არამედ მასისთვის ნაც-

ნობი, ხელშესახები სახეებით. ამისთვის საჭიროა სწავლა ძველი მწერლობიდან. ყოველი ეპოქის თემატიკა სოციოლოგიურია. ძველი მწერლობის მთავარი მოტივი იყო ნაციონალიზმი, და ეს თემები თავის დროზე დამუშავებულ იქმნა დიდი ოსტატობით.

elibrary.ge

მხატ. ლიტერატურაში რომელიმე სოციალურ საკითხზე არ შეიძლება ისე სწერო როგორც პოლიტიკაში.

პროლეტ-მწერალმა უნდა გვითხრას ახალი ადამიანის კონკრეტიული თვისებების შესახებ. არ კმარა იმის თქმა, რომ ეს ახალი კაცი „რკინის ნებისყოფისაა“. აბსტრაქტულ სიტყვათა თამაშს „არ უნდა დავუთმოთ დიდი ადგილი, ახალი ეპოქა ახალ სიტყვას მოითხოვს.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება პროლეტ-მკითხველის განწყობილებათა პროლეტარიზაცია.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ პროლეტ-მწერლობას საქართველოში ამ მხრივ აქვს სათანადო მიღწევები. ეს მიღწევები მიიმართება ზემო დასახელებულ ამოცანების განხორციელების გზით: კ. ლორთქიფანიძემ უკვე მიაღწია იმ საზღვარს, რომ პატარა ყოფილი დეტალის („მუხის ტახტი“) გარშემო ჰქმნის მთელ პოემას. ეს მწერალი გაბედულათ აყენებს ახალ ადამიანის სახეს: „პირველი დედა“ მხატვრული კონტრიერიშია ყოფაცხოვრების დახავსებულ ფორმების წინააღმდეგ. ახალი ცხოვრების ეფექტიური მომენტები ასახულია აგრეთვე ელ. პოლუმორდვინოვის მოთხრობებში. მიღწევები ფრ. ნაროუშვილსაც აქვს. მისი ლექსების და პოემების სერია — ყოფაცხოვრება საბჭოთა სოფელში — პირდაპირ აგიტაციაა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისთვის. მთელი რიგი სხვა მწერლებიც მუშაობენ ამ მიმართულებით, მაგრამ ეს არ კმარა — პროლეტარულ მკითხველის აღსაზრდელათ. ვინ ავსებს სქელტანიან ჟურნალების „მნათობის“, „ქართული მწერლობის“ ფურცლებს? ისევ მიხ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია ნ. ლორთქიფანიძე. გრ. რობაქიძე, და სხვები. 1928 წლის განმავალობაში „მნათობში“ და „ქართ. მწერლობაში“ არ დაბეჭდილა არც ერთი პროლეტ-მწერლების მოთხრობა. ეს იმ დროს, როდესაც ჩვენ გვყავს ისეთი პროლეტ-პროზაიკები, როგორიცაა კ. ლორთქიფანიძე, ელ. პოლუმორდვინოვი, ნ. ზომლეთელი და სხვები. ლექსის დიქტატურა ვერ მოგვცემს პროლეტ-ლიტერატურის ჰეგომონიას. საჭიროა შეიქმნას სა-

ქართველოშიც „ცემენტი", „განადგურება", და სხვა დიდი ბელეტ-რისტული ტილოები... ეპოქალური რომანები. მხოლოდ „პროლეტა-რულ მწერლობაში" დაიბეჭდა რამდენიმე მოთხრობა. ისე რომ პროზის ფრონტი ცარიელია. ამიტომ იპყრობს დღეს ჯავახიშვილი ადვილათ ჩვენს მკითხველს. ამ საკითხს გენერალური ყურადღება უნდა მიექ-ცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კონტაქტი პროლეტ-მწერალსა და მკით-ხველს შორის არ იქნება. დღეს, ჯერჯერობით ეს კონტაქტი ძლიერ შერყეული და უნუგეშოა.

რა არის საჭირო ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად?

პროლეტ-მწერლებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პრო-ზის დარგს. ამავე დროს თვით ლექსმა უნდა დატოვოს ზოგად-რი-ტორიული სახე და სოც. აღმშენებლობის „წვრილმანები" გამოსახოს. ამ გზით მიღებული მიხწევები გაფართოვდეს: სწავლის, შემოქმედე-ბის და თვითკრიტიკის ლოზუნგების პრაქტიკული განხორციელების გზით.

პრაქტიკულათ: მოწყობილი იქნეს პროვინციებში პროლეტ-მწე-რალთა კვირეულები. როგორც გაზეთებიდან სჩანს, დასავლეთ სა-ქართველოში ასეთი კვირეულების მოწყობამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია მოსახლეობაში.

საჭიროა ლიტერატურული წრეების და გასამართლების მოწყობა პროლეტ-ლიტერატურის თემებზე. ისევ ასამართლებენ დღეს ბევრ-გან ძველ თემებს: „ელეონორა", „ხევის ბერი გოჩა", „ვინ არის დამ-ნაშავე" და სხვა. ამის მაგიერ უნდა გასამართლებულ იქნას „ხავსი", „პირველი დედა" და სხვა.

გაძლიერებული უნდა იყოს ხელმძღვანელობა პროვინციელ კომ-კავშირელ მწერალთა წრეებზე. კარგი იქნება თუ პროლეტარულ მწე-რალთა ასოციაციას აღრიცხული ეყოლება ასეთი წრეები ყველგან.

პროლეტ-მწერლებმა დიდი მონაწილეობა უნდა მიიღონ საბჭო-თა და პარტიულ მუშაობაში. ეს ძლიერ დაახლოვებს მწერალს და მკი-თხველს.

მკითხველთა აქტიური ფენების სულისკვეთების გამოსამჟღავ-ნებლათ კარგი იქნება მოეწყოს ჟურ. „პროლეტ.-მწერლობასთან", „მკითხველის კუთხე".

ყველა ამ საკითხების სათანადოთ მოგვარებით პროლეტ-მწერ-ლობა შესძლებს მკითხველის ფსიქიკის გადახვნას კომუნისტური იდე-ების დასათესათ.

ქ. სიდნაღი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა რადიანი

კლასიური მტრის სახე

საბჭოთა კავშირში სოციალისტური ელემენტების როლი თანდათან მტკიცედ იზრდება, რაც თავისთავად იწვევს კაპიტალისტური ელემენტების შევიწროებას, მის განდევნას იმ პოზიციებიდან, რომელიც მას წინად ჰქონდა დაკავებული. სოციალისტური ელემენტების იერიშებს კლასიურ მტრებმა წინააღმდეგობით უპასუხა.

ამგვარად, დღეს საბჭოთა კავშირში ადგილი აქვს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას. კლასიური ბრძოლისათვის გამწვავებაზე ლაპარაკობს მთელი რიგი ფაქტებისა, ჩვენი ცხოვრების ყოველი სფეროდან (მაგ. პარტიის და საბჭოთა მუშაკების დევნა სოფლად, მუშკორების და გლეხკორების მკვლელობანი, შახტის საქმე და სხვ).

კლასიური ბრძოლის გამწვავებას, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში, პოლიტიკისა და ეკონომიკის ფრონტზე, აგრეთვე სათანადო გამოხმაურება ჰპოვა იდეოლოგიის, ზედნაშენების სფეროშიაც. მემარჯვენე-რეაქციონური ძალები აქაც გამოიცხლდენ. მტრული კლასების წარმომადგენელები რომლებიც, აშკარად გაძევებული არიან სხვა დარგებიდან, განსაკუთრებით ენერგიულად ცდილობენ შეტევას იდეოლოგიის სფეროში.

შიმდინარე პერიოდს ახასიათებს ბურჟუაზიულ-ფეოდალური იდეოლოგების აქტივობის გაძლიერება, ხელოვნების, მეცნიერების და სხვ. დარგებში. ისინი თავიანთი პოზიციების შენარჩუნებას ცდილობენ და იერიშებზედაც გადმოდიან პროლეტარიატის ხელისუფლების, მისი იდეოლოგიის წინააღმდეგ...

კლასიური მტრის სახე, მემარჯვენე მწერლების რეაქციონური ბუნება ჩვენს მხატვრულ ლიტერატურაში უკანასკნელი წლების განმავლობაში სხვადასხვა გვარად გამომჟღავნდა: საბჭოთა ინდუსტრიალურ ქალაქს უპირისპირებენ პატრიარქალურ სოფელს (მიხ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, და სხვ.), პროლეტარიატის დიქტატურის ინტერნაციონალიზმს უპირისპირებენ თამარისა და ირაკლის დროის ნაციონალურ საქართველოს (ს. დადიანი, კ. გამსახურდია), ოქ-

ტომბრის რევოლუციის ნამდვილ ბუნებას გაბორეტებულად ამახინ-ჯებენ და საბჭოთა ქვეყანას სახავენ მშრომელთა ექსპლოატაციის ბუდეთ (მიხ. ჯავახიშვილი) და სხვ.

ეროვნული

ხერხი, საშვალებები, რომლითაც რეაქციონურ - მემარჯვენე მწერლები სარგებლობენ თავიანთი რეაქციონური შეხედულებების გამოსამჟღავნებლად მრავალ-გვარია; ვ. ფრიჩე ერთ-ერთ თავის უკანასკნელ წერილში ამ ხერხთაგან ჩამოთვლის ზოგიერთს: 1) მწერალი იფარებს თავისი გმირის ნიღაბს და ისე იძლევა თავის მტრულ დამოკიდებულებას პროლეტარიატის დიქტატურისადმი 2) მწერალი ბევრს ლაპარაკობს „ნეიტრალურ“ საკითხებზე, რომელსაც თითქოს არაფერი საერთო არა აქვს დღევანდლობასთან, მაგრამ, როდესაც გულდასმით ჩაუკვირდებით, ჩავსწვდებით მის სიღრმეს, დავინახავთ, რომ იქ არის დაფარული, დამალული სახით ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და 3) ნაწარმოებში მწერალს შეაქვს სახე სიმბოლო, რომელიც ორგანიულად სიუჟეტთან არ არის დაკავშირებული, მაგრამ რომლის მეოხებითაც ავტორი „ეზოპის“ ენით ცდილობს მკითხველს ჩაუნერგოს თავისი მტრული დამოკიდებულება თანამედროვეობისადმი.

როგორც ვხედავთ მეტად მრავალფეროვანი და რთული ნიღაბებით იფარავენ თავიანთ სახეს კლასიური მტრები ლიტერატურის სფეროში. ასეთ პირობებში პროლეტარულ-მარქსისტული კრიტიკის ამოცანა განსაკუთრებით დიდი და საპასუხისმგებლოა. მან შეუდრეკელად და პირდაპირ უნდა გამოამჟღავნოს კლასიური მტრის ნამდვილი სახე და ბუნება. მან უნდა აწარმოვოს ენერგიული ბრძოლა იდეოლოგიის ფრონტზე ყოველგვარ ბურჟუაზიულ, წვრილ-ბურჟუაზიულ, ფეოდალურ და სხვა ყოველგვარ ჩვენდამი მტრულად განწყობილ შეხედულებათა წინააღმდეგ...

ჩვენში მემარჯვენე--რეაქციონური ლიტერატურა მთელი თავისი ნიშანდობლივი თვისებებით ყველაზე უფრო რელიეფურად უკანასკნელ წლებში გამომჟღავნდა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში.

როდესაც მკითხველი ეცნობა კ. გამსახურდიას ნაწერებს, ის შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველაფერი ეს წარმოადგენს მთლიანად დამწერის ავტობიოგრაფიას, დღიურს.

კ. გამსახურდიას შემოქმედებითი ჰორიზონტი მეტად ვიწრო და შემოფარგლულია, მას თითქოს არც კი აქვს საზოგადოებრივი ინტერესი (!) მისთვის თითქოს არაფერი არ არსებობს გარდა თავის საკუთარ „მე“-ს და მისგან მომდინარე განცდების. მისი ძირი-

თადი, მთავარი იდეია სრულიად ეთანხმება ცნობილ დეკადენტ სტ. პშიბიშევსკის ფალკს—„Homo sapiens“-იდან. როგორც ვიცით ფალკის ფორმულაა:“ მე ვარ მე და ამავე დროს საკუთარი ქვეყანაც, და მე არაფერი საქმე არ მაქვს იმისთან, მეთანხმებიან თუ არა სხვები“. კ. გამსახურდიაც, მისი გმირებიც (იგივე გამსახურდია!..) ასევე ფიქრობენ, ამასვე აცხადებენ, ამავე მიმართულებით მოქმედებენ.

გავეცნოთ კ. გამსახურდიას იმ ნაწერებს, რომლებშიაც ის ამჟღავნებს თავის reison d'être-ს.

„დიონისის ღიმილი“ ამის ნაწარმოები „ზედმეტი ადამიანის“ შესახებ.

პრობლემა „ზედმეტი ადამიანისა“ ყოველთვის იქცევდა მწერლების ყურადღებას იმ ეპოქებში, როდესაც რევოლუციონური ქარტეხილი ახდენდა ძვრას საზოგადოებრივ ურთიერთობაში, როდესაც ერთი კლასი ადგილს უთმობდა მეორე კლასს, უფრო ჯანსაღს და მომქმედს.

„ზედმეტი ადამიანისათვის“ დამახასიათებელია: ახალ პირობებთან შეგუების შეუძლებლობა, ცხოვრებაში თავისი ადგილის ვერ პოვნა, გულგატეხილობა და უკმაყოფილობა.

წარსული საუკუნეების ბურჟუაზიულმა რევოლუციებმა ხელი შეუწყო რომანტიკოსების ლიტერატურის შექმნას. ეს ლიტერატურა მთლიანად გამსჭვალულია „ზედმეტი ადამიანის“ იდეებით და მისწრაფებით.

ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ, რომელმაც ძირს დასცა, გაანადგურა ბურჟუაზია და მის ნაცვლად პროლეტარიატი გააბატონა—სრულიად ბუნებრივად გამოიწვია ცხოვრებაში „ზედმეტი ადამიანები“, რომლებიც შეუფერებელი არიან ახალი, რევოლუციონური პირობებისათვის. „ზედმეტი ადამიანები“ დღეს არიან იმ კლასის წარმომადგენლები, რომლებმაც თავიანთი ბატონობა და მნიშვნელობა დაჰკარგეს პროლეტარული რევოლუციის შემდეგ.

„დიონისოს ღიმილში“ მოცემულია „ზედმეტი ადამიანი“, რომელიც წარმოიშვა პროლეტარული რევოლუციის ხანაში, დამარცხებული კლასიდან, ბურჟუაზიულ-ფეოდალური წრიდან.

გავეცნოდ ამ ნაწარმოებში გამოყვანილი „ზედმეტი ადამიანის“—კონსტანტინე სავარსამიძის ცხოვრებას.

კ. სავარსამიძეს სოფელში ზრდიდა მორდუ ტაია შელია პრიმიტიული, პირველყოფილი წესების მიხედვით. ამ უკანასკნელმა ასწავლა მას შელოცვა, გათვალვის, გათოფვის და დანამსვის ძალა. ცრუმორწმუნოებანი, რომელიც სოფელში იყო გავრცელებული კ. სავარსამიძესაც სჯეროდა, რაც მას დავაჟკაცების შემდეგაც შერჩა.

32 წლის კ. სავარსამიძეს ვხვდებით უკვე საზღვარგარეთ, პარიზში. აქ ის ხშირი სტუმარია ბუკინისტების, სადაც ეძებს ძველ საისტორიო წიგნებს. ის ოცნებობს მთელი ქვეყნიერების შემოვლაზე. პარიზში უსაქმო ხეტიალის მეტს არაფერს აკეთებს. დადის სალონებში და ქარაფშუტულ ცხოვრებას ეწევა. მთელი თავისი ავადმყოფური და დაჭიავებული აზროვნებით ის გამოიყურება, როგორც ურა-ნაციონალისტი. ხშირად იგონებს თავის წინაპრებს, რომელთა ძარღვებშიაც სჩქეფდა ლაზის სისხლი. „იტანჯება“ საქართველოზე მოგონებით. ოცნებობს იმაზე, რომ „მე დამშვენდებოდა შავი, ქართული ჩოხა, თეთრი დარაიის ახალუხი, სადა, თეთრი სპილოს ძვლის ქამარ-ხანჯალი, ძლიერ ვიწრო უძიროები, ლომისფერი ჯიშიანი ცხენი, ქორ-მიმინო. თეთრი მწევრები, ომი, ლხინი, მიჯნურობა და ნადირობა“, ან კიდევ როცა ჩავა საქართველოში თავადურ ცხოვრებას დაიწყებს: „გრძელ სვანურ სატევარს დავიკიდებ. უძიროებს ჩავიცვამ—ვილოთებ“.

კ. სავარსამიძე ხშირად ლაპარაკობს თავის მელანქოლიაზე, მოწყენილობაზე. აცხადებს სურვილს განმარტოებით ცხოვრებაზე. „თუ ადამიანები დამაყენებენ ვიქნები ჩემთვის, ჩემს გალიასავით ოთახში. ჩემს ყალიონს მოვწევ, ჩემს ფიქრებს მივეცემი. ნეტავ შემეძლოს ფიქრად გადავიქცე. უმტკივნეულოდ გადნეს ჩემი სხეული და გავჭქრე ყინულზე დავარდნილი ნაპერწკალივით. ქუჩაში გავდივარ, მილიონებს შორის დავეძებ მარტოობას. უდაბნო, უდაბნო,—დიდი ქალაქის დიდი ქუჩაა ჩემთვის უდაბნო“... ქალებს ის ართობს წარმართული მისტერიების, წმ. გიორგის რიტუალების, სუჯუნის თეთრი მონების და სხვ. რელიგიური ამბების მოყოლით; აგრეთვე კ. სავარსამიძის აზროვნება და ცხოვრება სავსეა სიზმრებით, ლანდებით და მოჩვენებებით.

კ. სავარსამიძე მიემგზავრება იტალიაში. აქ ის მონასტრის ხშირი სტუმარია. ასიზის მონასტერში გარიჟრაჟამდის ორას ორმოცდა ათ ბერთან ერთად ლიტონიობს.

იტალიაში კ. სავარსამიძე გატაცებულია სიძველეებით, საშვალო საუკუნოების კოშკებით და ბასტიონებით: „საოცარია, პერუჯია. ქვეყანაზე სხვა ქალაქი არ მეგულება. ძველი რომანტიული სული და საშვალო საუკუნოების ელფერი ასე უცვლელად რომ იყოს შენახული. კოშკებისა და ბასტიონების ვიწრო სათოფურებიდან დამცინავი თვალებით გიცქერიან ჩაფხუტიანი რაინდების ლანდები. რა საკოდავათ მოსჩანან ამ პერსპექტივებიდან ბენზინის სუნით აყროლებული თანამედროვე ქუჩები, საწვრილმანო დუქნები, კინემოტოგრაფიის საზიზღარი რეკლამები, იტალიელი მათხოვრები და ლუტები. ვიდრე ავ-

ტომობილი, ან პარიზულ მოდაზე მორთული ქალი ჩამოიგლიდეს, თქვენ ყოველ წუთში შეგიძლიათ თანდროულობის თარიღი დაივიწყოთ და ტრუბადურებისა და მოხეტიალე რაინდების ეპოქაში გადასახლდეთ“.

შემდეგ კ. სავარსამიძეს ვხედავთ გერმანიაში. ამ დროს იქ რევოლუციონური მოძრაობაა. სპარტაკელები იბრძვიან პროლეტარიატის დიქტატურისათვის, კ. სავარსამიძე აჯანყებულ მუშების წინაალმდეგ იბრძვის; ღამით მას საშინელი ჰალიუცინაციები აქვს. ნევრასტენიასაც ამჟღავნებს.

კ. სავარსამიძე ინდოეთში გამგზავრებას ფიქრობს. ვერ ახერხებს. ბერლინში ნახულობს ინდოელ მისტიკოს და ბრაჰამინს, რომელთანაც სულის უკვდავების საკითხებზე მსჯელობს.

ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ კ. სავარსამიძე კლავ საქართველოში ბრუნდება. ის აბასტუმანის მიდამოებში ცხოვრობს მეჯოგეებთან. ეკლესია - მონასტრების და საქართველოს წარსულის ნანგრევების ნახვით ირთობს აქ ის თავს; შემდეგ გადასწყვეტს სამუდამოდ წავიდეს ჯოგში და მწყემსებთან ერთად იცხოვროს. ამ განზრახვას კიდეც ასრულებს.

ასეთია სავარსამიძის ცხოვრება, როგორც ეს კ. გამსახურდიამ დაგვიხატა. ეხლა სრულიად ბუნებრივად ისმის ჩვენს წინაშე კითხვა, იმის შესახებ, თუ როგორ ტიპს წარმოადგენს ის.

კ. სავარსამიძე წარმოადგენს გადაშენებულ ქართველ ინტელიგენტის ტიპს. მას ნახევარი ხმელეთი აქვს შემოვლილი, შვიდი ენა აქვს შესწავლილი, შვიდი პროფესია გამოუცვლია, მაგრამ მაინც ვერ უპოვნია თავის ადგილი ამ ცხოვრებაში:

„ტაია შელია, მე მარტო ვარ ამ უღრან ტყეში... ტაია შელია, ჩემი ცხოვრების შუაგულ გზაზე შემოაღამდა, ისევ შენ გიგონებ და გეძახი გულთმისანო ჩემო გამზრდელო. ეგებ შენ მასწავლო გზა, როგორ გავიდე ამ უღრან ტყიდან. განა არ გესმის. „გზა.“ იძახის ადამიანი საუკუნოების ირიბ მიჯნებზე. „გზა“ იძახიან მგზავრები, მეეტლები, ვატმანები და შოფერები. „გზა“, იძახიან მწერლები, ბერები და მოძღვართ-მოძღვრები. მე ყველა ვნახე, მე ყველას ვკითხე და ვერავინ მასწავლა „გზა“. ამ სიტყვებში მეღავნდება განცდა და აზროვნება იმ ადამიანის, რომელიც უკიდურეს მელანქოლიაში და პესიმიზმში არის გადავარდნილი.

ამგვარად, კ. სავარსამიძე ცდილობს თავი მოგვაჩვენოს დატანჯულ ადამიანის პოზაში, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, მისი ტანჯვა არავის არ აღელვებს, ვინაიდან მისი ცრემლები ისეთია, რომლითაც არავინ ტირის.

კ. სავარსამიძეს ახასიათებს უკიდურესი თვითდარწმუნება, ის თავისთავში რაღაც განსაკუთრებულ, პრივილეგიურ არსებას ხედავს; რაიმე პატარა შემთხვევასაც კი ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს, ეძებს მათში განსაკუთრებულ აზრს, (მაგ. კურდღლის შეხვედრას და სხვ.), ამ მოვლენის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმაში, რომ ავადმყოფმა ოცნებამ კ. სავარსამიძე დააშორა ცხოვრების რეალურ მიმდინარეობის გაგებას. საერთოდ ცნობილია, რომ ავადმყოფურ თვითდარწმუნებას, ფანტაზიის უსაზღვრო განვითარებას შეუძლია ადამიანი მოაქციოს მოწყენილობაში და ცხოვრების უარყოფაში. ასე დაემართა მაგალითად შატობრიანს და ასევე ემართება კ. სავარსამიძესაც.

როგორც ყველა ინდივიდუალისტს, ისევე კ. სავარსამიძესაც აქვს მიდრეკილება იქითკენ, რომ თავისი პირადი განცდები და შეხედულებები განასაზოგადოებრივოს.

კ. სავარსამიძე ექზალტიური პიროვნებაა. მას ახასიათებს უსაზღვრო და ავადმყოფური განვითარება წარმოდგენების. მას არასდროს არ შეუძლია გულდასმით, მოთმენით იფიქროს რაიმე მოვლენის თუ დებულების შესახებ მთელ თავის დეტალებით. ის სწრაფად გადადის სიხარულისაგან მწუხარებაში, მთლიანად ექცევა ყოველგვარი შემთხვევითი განწყობილების გავლენის ქვეშ.

კ. სავარსამიძე ულტრა-პატრიოტის როლშიც გამოდის. საზღვარგარეთ ის ყველგან საქართველოს სახელით ლაპარაკობს. ამაყობს იმით, რომ ქართველთა შთამამავლობას ეკუთვნის. ის ხშირად იტყვის: „ჩემში ძველი ლაზის სისხლია დარჩენილი“, „არგვეთის მთავრის მრისხანე წარბები იმზირებოდა ჩემი სახიდან“, „მე ლაზისტანის ძველი აზნაური“, „ეს ძველი სისხლი არგვეთის მთავრის ებრძოდა ტალღებს ჩემის მკლავებით“, „არ შევარცხვენ არგვეთის მთავარს“ და სხვ. მისი ნაციონალისტობა შედარებაშიაც მოსჩანს. როდესაც ის სადმე ხეებს ან ადამიანს შეხვდება და მოეწონება, აუცილებლად საქართველოს ხეებს და ქართველს უნდა შეადაროს: მაგ. ალბანის ტბასთან (იტალიაში) კ. სავარსამიძეს პატარა კოპიტნარი ეგულებოდა: „მივდივარ იმ კოპიტებთან, გულჯავრიანი შევცქერი, როგორ ჰგვანან ისინი სამეგრელოს კოპიტებს“; პარიზში კ. სავარსამიძე იცნობს ერთ მოხუც ბუკინისტს. მისი თეთრი და გრძელი წევრების დანახვა შემდეგს ათქმევინებს მას: „სამეგრელოში მინახავს ამ სახის მოხუცი, ალბათ ამიტომ მახარებს მასთან შეხვედრა“; კ. სავარსამიძე შეხვდება კაპიტანს ისმეტ ბეის, ისიც აუცილებლად ქარ-

თველს წაგავს ოდნავ. აგრეთვე სალონებში, კერძო საუბარში და სხვ. კ. სავარსამიძე ამჟღავნებს ნაციონალისტურ შეხედულებებს *).

კ. სავარსამიძე რუსოს მიმდევარია. მას აშინებს ცხოვრების მექანიზაცია. ის ილაშქრებს თანამედროვე ქალაქების, ინდუსტრიის და მანქანების წინააღმდეგ. მისი მისწრაფებაა პრიმიტიულ ბუნებაში ცხოვრება პირველყოფილი წესებით. ის აღფრთოვანებულია, როდესაც კვლავ უბრუნდება აბასთუმნის მთებს, ტ. შელიას ჯოგს და ველურად ცხოვრობს.

კ. სავარსამიძისაგან ხშირად გაიგონებთ წუწუნს იმაზე, რომ ამ ქვეყანაზე არც კი შეიძლება მეგობრობა", რომ „ჩვენ მარტო ვართ". მის ოცნებას შეადგენს მოგზაურობა ნირვანის ფილოსოფიის ქვეყანაში—ინდოეთში. ეს მოვლენა არ არის შემთხვევითი. სწორედ ინდოეთში გაბატონებულ კლასში—ბრამინებს შორის, შეიქმნა განმარტოებისა და თავდავიწყების ფილოსოფია.

კ. სავარსამიძე არა მარტო ცალკე ქვეყნებში (მაგ. ინდოეთში და სხვ.) ეძიებს თავის იდეალს, არამედ შორეულ წარსულშიაც. ის ეკუთვნის ისეთი ჯურის ხალხს, რომელთაც არსებობა არ შეუძლიათ გრიმის გარეშე. ამ ჯურის ხალხი არსებითდ წარმოადგენენ სტილიზატორებს ე. ი. ისეთებს, რომლებიც წარსულის ნანგრევებში და სიძველეებში ეძიებენ მშვენიერებას. იტალიაში ყოფნისას კ. სავარსამიძე მთელ დღეებს ატარებს მოგონებათა, წარსულის ნანგრევთა შორის და მათ იდეალიზაციას ახდენს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგაც, კ. სავარსამიძე წარსულისაკენ იცქირება და იქ ეძიებს თავის სულის საზრდოს. დადის სამცხე-საათაბაგოს ტაძრების და ციხე-კოშკების ნანგრევებს შორის და მისტირის წარსულს („მინახავს გაჩანაგებული კართაგენი, პომპეის ჩანაცრული ქუჩები, სასახლეები და საკურთხეველები, აკროპოლისა და ფორუმ რომანუმზე მელანქოლიური ფიქრებით გულგასენილი ვმჯდარვარ, მაგრამ ყველაფერ ამას ოდნავაც ვერ შეედრება ის დიდი მწუხარება, რომელიც სამხრეთ საქართველოში გამოვცადე"...)

კ. სავარსამიძე გარკვევით არსად არ გვაცნობს თავისი პესიმიზმის და მელანქოლიის მიზეზებს. მაგრამ მისი გაგება მიუხედავათ ამისა, მაინც ადვილია: ის მომდინარეობს მის ცივ, ეგოისტურ, მშრალ და განსაზღვრულ გონებიდან. ამ გზით სურს კ. სავარსამიძეს გააამართლოს თავისი სიცარიელე, სიფუქსავატე და პასივობა. ადამიანმა,

---

*) უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ კ. სავარსამიძის პატრიოტობა გვაგონებს ისეთ ხალხს, რომელთა უკვდავი სურათიც აკაკიმ მოგვცა ლექსში „ქართული პატრიოტობა". შ. რ.

რომელმაც ვერ იპოვნა თავისი ადგილი ცხოვრებაში, დადგა ტანჯული ადამიანის პოზაში. ამგვარად, კ. სავარსამიძის მწუხარება, პესიმიზმი სანტიმენტალურია, ის მოგონილი ამბავია. (აკი ერთ ადგილზე ის ამბობს: „მე უჟმური მომსდევდა ფეხდაფეხ სამეგრელოს ბნელ ჭაობიდან გამოქცეულ ავანტიურისტ ლაზს“ (კურსივი ჩვენია შ. რ.) ან კიდევ: „არ დავმალავ. ოდნავ ავანტიურის მოყვარული“ (კურსივი ჩვენია შ. რ.).

კ. სავარსამიძის პესიმიზმი, მწუხარება არის უბრალო მოწყენილობა, სპლინი და ხანდრა ავადმყოფ, უნებო და ეგოისტ ადამიანის, რომელმაც ვერ იპოვა ცხოვრებაში თავისი თვისებების და უნარის გამოსაყენებელი სფერო. მისი მისტიკა კი მომდინარეობს უკვე დაძველებულ ლიტერატურულ-ისტორიულ ქრესტომატიიდან ამოკითხულ ცნობებიდან.

„დიონისოს ღიმილი“-ს ავტორი — კ. გამსახურდია სთხოვს მკითხველებს: „მე ნუ ამკიდებთ კონსტანტინე სავარსამიძის ცოდვებსა“-ო. ამ სიტყვებით მას სურს წინასწარვე თავი დააღწიოს მკითხველის შეხედულებას: რომანის ავტორის და მისი გმირის იგივეობის შესახებ. მაგრამ მაინც არ გამოდის ასე. კ. გამსახურდია ნაწარმოების მთელ მანძილზე არ შორდება თავის გმირს, ხშირად ის კიდევ ერწყმის მას. ალაგ-ალაგ მეტად ძნელია გამორკვევა იმისა თუ სად იწყება ავტორი და სად თავდება მისი გმირი.

კ. სავარსამიძის მოსაზრებებს იზიარებს თითქმის ყველა გმირი, რომელიც ნაწარმოებში არის გამოყვანილი. ამ ნაწარმოების სხვა გმირებიც წინაალმდეგი არიან ინდუსტრიის და საერთოდ ქალაქური ცივილიზაციის, ოცნებობენ ფეოდალურ-ციხე კოშკებში ცხოვრებაზე, გამსჭვალულნი არიან მისტიურ-სპირიტისტული იდეებით და სხვა.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ „დიონისოს ღიმილი“-ს ფაბულა მეტად ღარიბი და მჭლეა. ამან კი გავლენა იქონია იმაზე, რომ მასში არ არის არც ერთი ტიპი, რომელიც დასრულებული და ყოველმხრივად იყოს წარმოდგენილი. თვით მთავარი გმირიც მეტად მკრთალად გამოიყურება.

საბოლოო ანგარიშში რა ძირითადი იდეია არის მოცემული „დიონისოს ღიმილში“?

— კ. სავარსამიძე აღფრთოვანებით აქებს საშუალო საუკუნოების ფეოდალიზმს. როგორც მენესტრელი ისე მისტირის ცხარე ცრემლებით ის რაინდულ წარსულს და სურს კვლავ დაუბრუნდეს მას ფეოდალიზმის დრო.

— კ. სავარსამიძე მრისხანედ ილაშქრებს ქალაქის, მანქანების და ინდუსტრიის წინააღმდეგ, რომელმაც მისი წარმოდგენით მოსპო და გაანადგურა ყველაფერი ძველი.

— კ. სავარსამიძისათვის საშუალო საუკუნის პილიგრიმი-მლოცველი, რომელიც სანთლით ხელში მიემართება განმარტოებულ მონასტრისაკენ, უფრო ახლოა, უფრო ძვირფასი და სასიამოვნოა, ვინემ ქარიშხლიანი და წინ მავალი თანამედროვეობა.

— ამას თუ დაუმატებთ მისტიციზმს, ინდივიდუალიზმს და ნაციონალიზმს, რომელიც კ. სავარსამიძეს ახასიათებს, მაშინ ჩვენთვის უდავოთ ნათელი იქნება მისი ღრმა რეაქციონერობა.

„ტაბუ“ წარმოადგენს ნოველას ლანდებისა და წარსული ცხოვრების იდეალიზაციის შესახებ. მასში კ. გამსახურდია ხოტბას ასხამს პატრიარქალურ წესებს, ცრუმორწმუნეობას და სოფლის ცხოვრების ბნელ მხარეებს.

ნოველაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ლანდებს, ორეულებს და მოჩვენებებს.

„ზანდაროზ აღებული მიმინო მარცხენაზე. თივთიკის ჩაბალახით თავი მაქვს მეგრულად წაკრული და უძიროები, ისეთი სუბუქი, — შვედური თათმანები მცმოდეს.

„. . . ცალი თვალი ლანდს მოხვდა ჩემსას. სად იყო ლანდი. არა. მე ჩემსავე „მე“-ს შევეხეჩე. მას, მეორეს, ნაცრისფერი, ფოროჯიანი, ინგლისური ჰომპსონის კოსტიუმი ეცვა. მაღალი, ჩალისფერი ქუდი, ქედანის ფერი ზორტშემორტყმული. ჟღალი შვედური ტყავის თათმანი. რგვალცხვირიანი, ამერიკული ფეხსაცმელი — ორი თითის სისქე ლანჩებით. ცალ თვალზე მონოკლი ჰქონდა“.

ეს ორეული არსად არ შორდება ავტორს. მის გვერდით მიდის ყველგან. მასთან ერთად მიჰყვება ხრეშიან თემშარას. „ჭალებისაკენ მიმავალ, თემშარას მიჰვყევით: მე ჩოხიანი, და მე — მონოკლიანი. აგუნასავით მოაბოტებდა ჩემს გვერდით. სულ განაბული მივსდევდი ლანდს“.

ორეულებს არა მარტო თავის თავის მიმართ ხედავს კ. გამსახურდია, არამედ სხვებშიაც. მას გზაზე გლეხები შეხვდნენ: „ყველაზე საოცარი ის იყო, გლეხებიც წყვილად რომ მოდიოდენ. ორეულებს ორეულებისათვის მკლავი მკლავში გაეყარათ. ორეული ორეულს მისდევდა, ორეული ორეულს დასცინოდა, მაგრამ როცა გლეხი გლეხს შეესიტყვებოდა, მოლაპარაკე ანაზდეულად დაცალდებოდა“.

ჩოხიანი თავის მონოკლიან ორეულს ესაუბრება თავის მელანქოლიაზე, ლტოლვაზე ადამიანთაგან განშორების და სხვათა შესახებ.

— „ორეულო ჩემო მოსისხარო მტერო, დუშმანო. მომეწყინა ამ ქვეყანაზე უმიზნოდ ყიალი. მინდა მატყლივით თეთრი წვერი მქონდეს. შორს ვიყო ადამიანებისაგან“...

„ტაბუ“-ს ავტორი თანამედროვე ცხოვრებაში ვერ ხედავს ვერაფერს დადებითს, საყურადღებოს და მისაღებს (იმის გამო, რომ სურვილი არა აქვს.) მას დღეინდლობა მხოლოდ პესიმიზმის და მელანქოლიის გუნებაზე აყენებს; ამიტომ თანამედროვეობას ის უპირისპირებს წარსულს. ის „ხანგადასული ქალივით მოგონებებით ცხოვრობს“, გატაცებით იხსენიებს მკვდარს, უკვე გარდასულ ცხოვრებას. მას ამ მკვდარ ცხოვრების მესაფლავის როლიც კი აქვს ნაკისრი.

ამგვარად, კ. გამსახურდიას თანამედროვე რეალური ცხოვრების შეცვლა სურს სუროგატით, ლეგენდით და არქეოლოგიით.

კ. გამსახურდია დადის ნაჭყვედის ეკლესიის გალავანში, ათვალიერებს სასაფლაოებს: ლოდებს, ჯვრებს და საფლავის ქვებს. ისეთი განწყობილებით დადის ის საფლავებს შორის და კითხულობს წარწერებს ქვის ლოდებზე, რომ გრძნობთ მის კმაყოფილებას და აღფრთოვანებას მკვდრებთან საუბრობის გამო.

შემდეგ მიდის მოგონებათა მთელი სერია: „კარგი აზნაური თურმე ძუა გამოუსკვნელ, დაუდაღავ ლაფშაზე არ შეჯდებოდა“, „ის რა აზნაური იყო ვინც საუკეთესო ცხენს არ მოიპარავდა, ან ვისაც ათიოდე მიმინო ზამთრობით ძარში არ ჰყავდა“, თუ როგორ იცოდენ შელოცვები, რა და რა სახის ცრუმორწმუნეობანი არსებობდა წინად და სხვ.

„ტაბუ“-ში კ. გამსახურდია უყურადღებოთ არ სტოვებს საკითხს მითის წარმოშობის შესახებაც. მისი წარმოდგენით პირველთგანვე იყო მხოლოდ მითი, ყოველივე შეიქმნა მითით. მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფას. როდესაც მომავალში ყოველივე არ არად იქცევა მხოლოდ მითი დარჩება.

კ. გამსახურდია აცხადებს, რომ ის კრიზის განიცდის. ამ კრიზისის მიზეზად მას მიაჩნია უმითოთ ყოფნა („კრიზისი უმითოდ ყოფნაა. ჩვენთვის: არ ყოფნა, დადიხარ ამ ქვეყნად ზედმეტი კაცივით“.). ასეთ დროს, როგორც ამბობს ის,—მას შეუძლია მხოლოდ ნადირობა („ამგვარ კრიზისის დროს მე შემიძლია მხოლოდ ვინადირო“...) როგორც ვხედავთ კ. გამსახურდია ცდილობს პრიმიტიულ-პატრიარქალური მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ფორმათაგანი — მითი ყოფის უდიდეს მნიშვნელობის მოვლენად გამოაცხადოს... თანამედროვე ადამიანი, რომელიც მეცნიერული ცოდნით არის შეია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღებული, რასაკვირველია, არ მიიღებს კ. გამსახურდიას „თვალ-საზრის...

აღსანიშნავია ერთი მოვლენა, რომელიც საერთოდ ახასიათებს კ. გამსახურდიას: ის სრული თვითდარწმუნებით და სერიოზულობით ფიქრობს, რომ მისი პიროვნება ისევე საინტერესოა თანამედროვე მკითხველისათვის, როგორც თვით მისთვის, რომ მისი მისტიური მოჩვენებები სხვებისათვისაც ცნობისმოყვარეობის საქმეა, რომ მისი გატაცება წარსულით სხვებსაც მოეწონება და სხვ. მაგრამ მისდა სამწუხაროდ კ. გამსახურდია სასტიკად სცდება. მისტიურ ავადმყოფურ გატაცებების დრო დიდი ხანია ჩაჰბარდა ისტორიის არქივს. დღეს მწერალი იმდენათ არის საინტერესო და საჭირო, რამდენათაც ის გვეხმარება ახალი, სოციალისტური ქვეყნის შეგნებაში, რამდენათაც ჩვენი ეპოქისათვის მისაღებ იდეებს იძლევა. კ. გამსახურდია კი თავის შემოქმედებაში არც ახალი ქვეყნის შენებაში გვეხმარება (პირიქით უკან გვეზიდება) და არც ჩვენი ეპოქისათვის შესაფერის ახალ იდეებს იძლევა...

ულტრა-ნაციონალიზმის აპოლოგია კ. გამსახურდიამ მოგვცა „ჯამუ“-ში. ის მეტის მეტი სიყვარულით და თანაგრძნობით აგვიწერს შეხვედრას ყაჩაღ ჯამუსთან ციხეში. ყაჩაღი, კაცისმკვლელი, მძარცველი, მშრომელი ხალხის ქონების გამტაცებელი ჯამუ, რაღაც დიდი კეთილშობილებისა და ადამიანობის განხორციელებად წარმოუდგენია მას („მის შველისებურ, კეთილშობილ, გიშრის თვალების შემყურე, როგორ იტყოდა, რომ ის გიჟი იყო, ყაჩაღი, ან კაცის მკვლელი“).

ჯამუ, რომელიც ეფენდიევის ფსევდონიმით ეწოდა რუსეთში და სხვაგან ყაჩაღობას, იმიტომ—არის კ. გამსახურდიასათვის ერთგვარი იდეალი, რომ ის იყო ქართველი (მეგრელი). როდესაც მან შემთხვევით შენიშნა საკინძის ძირში ამოქარგული, დანჯღრეული და დაღვარჭნილი ასოებით დაწერილი ქართულად სახელი: ჯამუ—დიდათ აღელდა ამით: „დიდხანს, დიდხანს დავდიოდი აღელვებული დერეფანში“—ამბობს ის.

ყაჩაღი მძიმე ჭრილობის გამო კვდება. ამ დროს გამსახურდია თავზე ადგა მას: „დიდხანს ვადექი თავზე. გულნაღვლიანად ვხედავდი, თუ როგორ ერეოდა სიკვდილი ჩემი რასის ქედ-მაღალობას“.

ჭეშმარიტად ამ ნოველაში ნაციონალიზმმა კ. გამსახურდია მიიყვანა ბანდიტიზმის იდეალიზაციამდე!..

ცნობილი რეაქციონერი დ. მერეჟკოვსკი პოეტ მაქსიმელიან ვოლოშინის შესახებ ამბობდა, რომ ის არის „უპირველეს ყოველისა

პოეტი—კომპოზიტორი, რომელსაც აქვს უნარი ყოველგვარი „ტანსაცმელით მორთვისა“. მერეჟკოვსკის ეს სიტყვები უსათუოდ სრულიად შეეფერება კ. გამსახურდიასაც. ამ უკანასკნელსაც აქვს უნარი მოირთოს ყოველგვარი ტანსაცმელით: დაწყებული ევროპისაგან ნაქირავებ მისტიკურ „ტანსაცმელით“ და გათავებული ადგილობრივ ნაციონალისტურ „ტანსაცმელით“ და სხვ...

უკანასკნელ დრომდი კ. გამსახურდია მიისწრაფოდა იქითკენ, რომ გაშორებოდა თანამედროვეობას და ამიტომ სტილიზატორის კაბინეტში იკეტებოდა, მაგრამ საბოლოოდ მან მაინც ვერ შესძლო სინამდვილისაგან გაქცევა. რადგან ის არც სულიერად და არც სისხლით არ არის შეკავშირებული თანამედროვეობასთან. ამიტომ ის სცდილობს რევოლუციონურ სინამდვილეს საერთო, არაფრის მთქმელი ფრაზებით გაუმასპინძლდეს. ასეთია მაგ. მისი „ოდა ზაჰეს“.

კ. გამსახურდიასათვის „სასურველია“ ზაჰესი, მაგრამ ამავე დროს მას თითქოს მხედველობიდან ეპარება ძირითადი—ის საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელმაც ააშენა ზაჰესი და რა მიზნებს ისახავს საერთოდ ზაჰესის აშენება.

ამ ლექსის ფორმასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. კ. გამსახურდია ზაჰესის მოცემას სცდილობს ასეთი სიტყვებით: „ალმასის კოშკი“, „ბასტიონი“, „მირიანი“, „ძველი სიონი“, „მდევის ლეში“, „პინდარი“, „ქართლის ფალავანი“, და სხვ. რომ მას ორგანიულად შეეგრძნო ზაჰესი, მისი დანიშნულება, მაშინ ის უსათუოდ სულ სხვა, უფრო რეალისტურ და რევოლუციონური განცდების გამომხატველ სიტყვებს იპოვნიდა.

გარდა, ზევით აღნიშნული ნაწარმოებებისა, კ. გამსახურდია კიდევ ავტორია რამდენიმე მსუბუქი და უმნიშვნელო ლიტერატურული ფაქტისა.

„ქოსა გახუ“-ში გადმოცემულია ვიღაც სულით ავადმყოფ დეგენერატ, დიდი გვარის შთამომავლის ქოსა გახუს ამბავი. ამ ნოველის, როგორც მხატვრული ისე იდეური მნიშვნელობა ნოლს უდრის. ასეთივეა ნოველა „ლილ“-იც.

მარქსისტული ლიტერატურათ-მეტყველების განსაზღვრით მხატვრული შემოქმედების არა მარტო შინაარსი, არამედ ფორმის დამახასიათებელი ნიშნებიც, როგორიცაა მაგ. მეტაფორა, სახე და სხვ. მოქცეულია კლასიურ მიმდინარეობაში. „შეიძლება ითქვას, რომ არსად ისე ნათლად არ მოსჩანს ენის კავშირი განსაზღვრულ საზოგადოებრივ წრესთან, როგორც შედარებებში... თვითეულ საზოგადოებრივ წრეს აქვს თავისი განსაკუთრებული გამოთქმანი, რომელ-

ნიც ისახებიან ენაში თავისი განსაკუთრებული, ორიგინალური სახეების სამყაროს საშუალებით“... (პერევერზევი); ამას ყველაზე უფრო ნათლად ამტკიცებს კ. გამსახურდია. მის ნაწერებში შეხვდებით შემდეგ სახეებს და მეტაფორებს: „მინდა ბერივით სათნო ვიყო, თეთრი ოლარი მეცვას“, „მეგონდოლეს ფრიად სათნო სახე აქვს, მარკოზ მახარობელს წააგავს“, „სან ფრანჩესკოს ფრესკების ანგელოზებივით დაუღიათ პირი ქუჩის ბავშებს“, „დასავლეთით ცამ ჭლექიანივით გაიღიმა“, „ინგებორ თამარ-დედუფალივით ბრწყინავდა მარმარილოს დარბაზში“ („დიონისოს ღიმილი“), „შავი გველებით გართხმულან მიწაზე“, „უნათლავი ბავშის თმასავით ნაზი“ („ტაბუ“) „ყრმა ბუდდჰას ჰგავდა პაწია თემრა, თეთრი ღრუბლების სარეცელზე უძრავად მწოლარე“ („ქოსა გახუ“) და სხვ. როგორც მოყვანილი ამონაწერებიდან სჩანს კ. გამსახურდია სახეებსაც და მეტაფორებსაც უფარდებს თავის ძირითად იდეიას.

მისი შემოქმედების სიტყვიერი მასალაც სათანადოთ არის შეხამებული მის რეაქციონურ—კლასიურ ხედვასთან...

საერთოდ კ. გამსახურდიას ნაწარმოებნი მხატვრული, ფორმალური მხრით არ წარმოადგენს რაიმეს საყურადღებოს. თვითეულ მის ნაწარმოებს ახასიათებს: სტილიზაცია, სქემატიზაცია, რიტორიკა, საერთო ადგილების სიჭარბე და სხვ.

აგრეთვე, მთელ მის ავტობიოგრაფიულ და პუბლიცისტურ მასალაში („დიონისოს ღიმილი“, „ტაბუ“, „ჯამუ“, „ლილ“ „ქოსა გახუ“ და სხვ.) არსად არ მოსჩანს ბელეტრისტის თვალი, მათში თითქმის ვერსად ვერ შეხვდებით ეფექტიურ და ღრმა მხატვრულ მომენტებს. ამის გამო მისი ნაწარმოების წაკითხვის დროს ყოველთვის ის შთაბეჭდილება რჩება, რომ კ. გამსახურდია ბეჭდავს ინსცენიროვკაქმნილ პუბლიცისტურ ამბებს...

კ. გამსახურდიას შემოქმედების განხილვიდან დავინახეთ, რომ თანამედროვე მემარჯვენე—რეაქციონურ მწერლებს შორის, იშვიათად თუ არის ვინმე ისე თანამიმდევარი და პირდაპირი ნაწარმოების ძირითად იდეის გამოჩენაში, როგორც ის. რა ძირითადი იდეა გამოსჭვივის გამსახურდიას ყველა ნაწარმოებებში?—წარსული იდეალურია, თანამედროვეობა საშინელი და მიუღებელი, მომავალი კი უფრო ცუდი.

ამგვარად, კ. გამსახურდია თავის შემოქმედებით გარკვეულ პასუხს იძლევა კითხვაზე თუ ვინ არის ის: — ის არის თანამიმდევარი, მომქმედი და მტკიცე რეაქიოცნერი...

გამსახურდიები აქტიურად იბრძვიან ცხოვრებაში ადგილის მოსაპოებლად. ისინი თავიანთ პროდუქციის მომხმარებელსაც პოულობენ მკითხველთა განსაზღვრული ფენის სახით. ყოველივე ეს კი ბევრს გვავალებს ჩვენ. ეხლაც და მომავალშიაც მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ რეაქციონურ ლიტერატურას და სასტიკი ბრძოლა ვაწარმოვოთ მის წინააღმდეგ.

პროლეტარული მწერლობის დღიური

პროლეტ-მწერლები მშრომელ ხალხთან

მაგონდება: 1922 წ. ზაფხულის თვე, ქართული პროლეტ-მწერლობის პირველი პერიოდი. ჩვენ მაშინ „ფეხს ვიდგამდით“, შემოქმედებაში მოვიკოჭლებდით, რწმენით კი ვიყავით ძლიერი. ჩვენი ორგანიზაცია იყო ახლად დაარსებული (დაარსდა 1921 წელს, 17 დეკემბერს).

ჟურნალ „ქურას“ მხოლოდ ორი ნომერი გვქონდა გამოცემული; დიდ საქმედ ვთვლიდით, არავინ გვიცნობდა:

პროლეტ-მწერლობა ჩვენში „ახალი ხილი“ იყო. მტრები ხითხითებდენ. „წავიდეთ მშრომელ ხალხთან, გავაცნოთ ჩვენი მწერლობა“— ვამბობდით ჩვენ.

„რით წავიდეთ, რა გვაქვს. ვეკითხებოდით ერთმანეთს. „რწმენა, ცეცხლიანი სიტყვა და იმედები“. იყო ჩვენი საერთო აზრი. და ჩვენ მივედით მშრომელ ხალხთან. ის გვისმენდა ჩვენ სიხარულით. უკითხავდით ბრძოლის და შრომის ლექსებს.

ვდგამდით ჩემს პატარა დრამატიულ სურათს „აღთქმულ ქვეყნისკენ“ (ვმსახურობდით კიდეც). მუშები აღტაცებით გვხვდებოდენ. მახსოვს: ბათომში ტრანსპორტის მუშებმა ზღვის პირად მოედანზე აგვიგეს „თეატრი“ (რამდენიმე საათში.)დაგვესწრო რამდენიმე ათასი მუშა; მშრომელმა ხალხმა ჩვენ მიგვიღო, „თავისად“ ჩაგვთვალა. ჩვენც „გამარჯვებულებად“ ვთვლიდით თავს. დიახ, ჩვენ „გავიმარჯვეთ“. მაგრამ ჩვენი გამარჯვება იყო არა პროლეტმწერლობის (როგორც ასეთის) ეს იყო მხოლოდ პროლეტმწერლობის იდეის აგიტაცია. ესეც გვჭირდებოდა მაშინ.

ჩვენ ვგრძნობდით: გვაკლდა ის, რითაც დღეს ვამაყობთ: მხატვრული მიღწევები. მას შემდეგ, 1923 წელს კიდევ გვქონდა ლიტერატურული გამოსვლები მშრომელ ხალხთან, რომელიც იყო მოწყობილი საქ. პროლეტმწერლების მიერ.

1924 წელს მოვაწყვეთ რამდენიმე გამოსვლა ტფილისშიც (ავჭალაში, რკინის გზის სტამბაში და სხვ.) წელს კვლავ მოვაწყვეთ პროვინ-

ციაში მგზავრობა. ერთმანეთს კი არ ვეკითხებოდით: „რით წავიდეთ რა გვაქვს“ ვიცოდით რომ „ხელ ცარიელები“ არ ვიყავით. 15 დღე მშრომელ ხალხთან 22-ჯერ გამოსვლა, 15.000 მსმენელი. საყოველთაო სიხარული.

აი მოკლე ანგარიში პროვინციაში ჩვენი გამოსვლისა წელს. ჩვენ გვინდოდა „გამოცდები დაგვეჭირა“ მშრომელ ხალხთან და „დავიჭირეთ“ კიდეც. მაგრამ „გამოცდები“ იყო სასტიკი. მახსოვს: ფოთში კომკავშირელმა ქალმა ერთ ლექსში „ღმერთის“ ხსენებისათვის მისაყვედურა. სხვებსაც არ დაჰკლებიათ: კ. ლორთქიფანიძეს, ი. ვაკელს, ა. მაშაშავილს, კალაძეს—„გადახრებზე მიუთითებდენ. ფოთში გაიმართა მოხსენება: „რას თხოულობს პროლეტარული საზოგადოებრივობა პროლეტმწერლისაგან“. მოხსენების შემდეგ გამოვიდენ მუშები და მიგვითითებდენ, როგორც მიღწევებზე ისე ნაკლზეც. 1922—1923 წლებში ჩვენ ხალხის კრიტიკა არ გვსმენია. რით აიხსნება ეს? პასუხი ნათელია: მშრომელი ხალხი კულტურულად გაიზარდა, ჩვენც ეს გვახარებს.

მაშ კვლავ წინ ამხანაგებო. გვახსოვდეს: ასეთი „გამოცდები“ მშრომელ ხალხთან ხშირად გვექნება.

სანდრო ეული

ბოჰემა პროლეტარული მწერლობის ნიღაბში

კომკავშირელი ახალგაზრდობის ლიტერატურაში მუშაობის ფორმა, ჩვენს სინამდვილეში უკვე გარკვული ორგანიზაციული გზებით წარმოებს, ასე რომ იგი ძირითადში დაზღვეულია ბოჰემისა და სხვა ლიტერატურული ავადმყოფობისაგან, მაგრამ ახალგაზრდობა, რომელიც საეჭვო სოციალური ფენებიდან მოდის და თავისი ბუნებით და აზროვნებით დეკლასიურია, ლიტერატურაში წვრილბურჟუაზიულ, ობივატელურ მწერლობას აფარებს თავს და მის შესაფერ ბოჰემურ ცხოვრებას განაგრძობს.

რომ ასეთი ხავსი ჩვენს სინამდვილეში, მართლა იზრდება, ამის საუკეთესო დამამტკიცებელია მთელი რიგი წიგნებისა: „ოქროს თავთავი“, „საქართველოს ღამეები“, „ნივთების როკვა“, „ანტლანტიდა“, „ბალადა ვეფხის შესახებ“ და სხ., სადაც უნიჭობის, უგზოობის, სულიერი ავადმყოფობის მთელი ჭაობებია. მაგრამ ხშირად ასეთი

ფუქსავატური მწერლობის ნარჩენები, თავისი დამპალი „პროდუქციის“ გასასაღებლად პროლეტარული მწერლობის ნიღაბსაც ეკრავენ, რადგან ლიტერატურაში გასაძვრენად უკანასკნელი სასარგებლო ხერხია.

პროლეტარული მწერლობით სპეკულიაციას განსაკუთრებულად ადგილი აქვს პროვინციაში, რომელსაც საგასტროლოდ ჩასული ჭრელაფიშებიანი „მოპოეტო“ ხალხი ეწვევა; მაგრამ ხშირად პროვინციის „ნიადაგიც“ არა ნაკლებ უჯიშო ეპიგონებს იძლევა, რომელნიც „ქალაქიდან“ ჩასულ პოეტებზე უფრო მახინჯ სპეკულიაციას აკეთებენ. მას სამარცხვინო ტალახს სცხებენ. ამისი მსგავსი ფაქტები, რასაკვირველია, ბევრია, მაგრამ ჩვენ მოვიყვანთ აქ სანიმუშოდ ერთ დამახასიათებელ მაგალითს.

ქ. ზუგდიდში ცხოვრობს ვიღაც უპარტიო ახალგაზრდა სალომეიშვილი (უკანასკნელი ფსევდონიმია, რასაკვირველია), რომლის შესახებ აი რას გვწერს ერთი კომკავშირელი (მ. გიგიბერია)—„სალომეიშვილს თავი მოაქვს პროლეტარულ მწერლად. იგი დადის სოფლებში და საღამოებს მართავს. ეს მიაჩნია მას პოეზიასა და გლეხობას შორის ხიდად. ამისათვის მადლობასაც ელის, თუმცა მისი ბილეთების ფასი ხუთ მანეთამდე აღწევს, მაგრამ სინამდვილეში იგი ზიზღს და დაცინვას იმსახურებს, მაგრამ ამასთან ერთად პროლეტარულ მწერლობასაც ჩირქს სცხებს. ეს კიდევ არაფერი, სალომეიშვილის ბოჰემური სიდამპლე პირდაპირ სიგიჟემდე მიდის; როცა სცენაზეა, ი ა ტ ა კ ზ ე თ ა ვ დ ა ყ ი რ ა დ ა მ დ გ ა რ ი კ ი თ ხ უ ლ ობ ს რაღაცა სულელურ ლექსებს, ეს კიდევ არაფერი. სასადილოში ნახარჯს არ იხდის და სხვა, ან კმაყოფილებით აცხადებს: „მე დავწერე პოემა ყაჩაღის ცხოვრებიდან, რომელშიაც რეჟ. წუწუნავა 7000 მანათს მაძლევს—კინო სურათისათვის“. მეტი ფაქტების მოყვანა ზედმეტია. ჩვენს წინაშე ტიპიური ახალგაზრდაა, ლიტერატურული მანიებით და ილუზიებით დაავადმყოფებული, მაგრამ ისმება საკითხი: რა ეშველება ასეთ ხალხს? კომკავშირელი გიგიბერია ფიქრობს, სალომეიშვილი ჯერ კიდევ ახალგაზრდა გიჟია და მისი მოჭკვიანება კიდევ შეიძლებაო, მაგრამ ლიტერატურა ფსიხიატრული საავადმყოფო კი არაა, რომ გიჟები აჭკვიანო.

საჭიროა ლიტერატურული ატმოსფერის გაწმენდის მიზნით დაუნდობელი ბრძოლა ყოველგვარი ბოჰემური მოვლენის, და მით უმეტესად პროლეტარული მწერლობის ნიღაბით სარგებლობის წინააღმდეგ.

ხ. ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის სამკითხველოების შესახებ

ჩვენს სკოლებში ჯერ კიდევ არ არის რიგზე ყველაფერი. თუ გინდათ ავიღოთ სამკითხველოების მდგომარეობა. კატალოგებს რომ თვალი გადავავლოთ, სრულიად უნუგეშო მდგომარეობა წამოგვიდგება.

თანამედროვე ლიტერატურიდან არ მოიპოვება სამკითხველოში ისეთი წიგნები, რომელსაც შეუძლია მისცეს რაიმე ახალგაზრდას, რომელსაც სწყურია ლიტერატურა. მასში თავმოყრილია ძველის-ძველი წიგნები, ყოველგვარ საზოგადოებრივ შინაარსს მოკლებული, ანდა სამკითხველოები იძენენ ბულვარული და იაფფასიან ხალტურულ შინაარსის წიგნებს. ერთი ვიკითხოთ, რა უნდა მისცეს მოსწავლე ახალგაზრდობას ვინმე ბაბუაძის ტვინის ნევრასტენიის ნაყოფმა „ლივილლა“-მ, ანდა გამსახურდიას მამაშვილური პატრიოტიზმით სავსე კერძო დღიურმა, რომანის სახით გამოცემულმა „დიონისოს ღიმილმა“, ანდა თავაძის ლექსებმა „შორი ნათელი“, რემონიძის რეაქციონურმა ნაწარმოებმა „ჩემი ტფილისი“? რა თქმა უნდა, არაფერი. აი, მოვიყვანოთ მაგალითები: მე-14 შრომის სკოლის ათწლედში კატალოგის გადათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ლიტერატურიდან საკმაოდ არ მოიპოვება წიგნები. მე-5 შრომის სკოლაში მოიპოვება გრანელის. „Memento mori,“ გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“, გრიშაშვილის ლექსები და სხვა.

ადგილობრივმა მასწავლებელმა განაცხადა, რომ მოწაფეები, უმთავრესად ქალიშვილები, ხშირად თხოულობენ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებს“, „მუსუსს“ და ერისთავ-ხოშტარიას „მოლიპულ გზას“. რა თქმა უნდა, მოწაფე ქალებმა იპოვეს შიგ რაიმე სულიერი საზრდო და ამისათვის ეტანებიან მას. „მუსუსი“ ხომ პორნოგრაფიული ნაწარმოებია.

ჩვენ გვაინტერესებს, თუ სკოლის სამკითხველოებმა რატომ უკეთესი წიგნი ვერ ნახეს წიგნის ბაზარზე, გარდა „ლივილლასი“, მაგრამ საქმე იმაშია, რომ უმანდატო ბაბუაძეები გასტროლიორობენ, თავის წიგნებს თვითონ ყიდიან და რყვნიან მომავალ ახალგაზრდო-

ბას თავისი უიდეო საცოდავი ნაწარმოებებით. ზოგ შემთხვევაში თვით მოწაფეებმა არ იციან, თუ ვინ არიან „პროლეტარული მწერლები“, „ცისფერყანწელები“ და სხვა.

ამხანაგ ბუაჩიძის შეკითხვაზე მე-8 შრომის სკოლაში: რა წიგნები გაქვთ თანამედროვე ლიტერატურიდანო, იმათ უპასუხეს: ჩვენ გვაქვს თანამედროვე პროლეტარული მწერლების წიგნები, მაგ. გვეტაძის „ვირების მესია“, თავაძის „შორი ნათელი“, ვარდოშვილის ლექსები და სხვაო.

ამ სკოლის კატალოგში მრავლად მოიპოვება ძველი დახავსებული წიგნები.

რას გვიმტკიცებს ჩვენ ზემო ნათქვამი მაგალითი, თუ არა იმას, რომ ჩვენს სკოლებში მასწავლებლები არ უმართავენ მოწაფეებს საუბარს თანამედროვე ლიტერატურის შესახებ. ზოგიერთი შრომის სკოლის სამკითხველოებს არა აქვთ გამოწერილი „პროლეტარული მწერლობა“, ისინი ამ მდგომარეობას თანხის უქონლობით ხსნიან, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს არ არის მართალი.

ერთ სკოლაში, სახელდობრ მე-2 ცხრაწლედში, გამგემ ისიც კი აღნიშნა: ჩვენ წიგნს აქეთ თუ ვინმე მოგვიტანს, მაშინ შევიძენთო და ამიტომაა, რომ ეს სამკითხველო სავსეა ხალტურული კერძო გამოცემებით. საჭიროა ბრძოლა ასეთი განწყობილების წინააღმდეგ. სკოლის ხელმძღვანელები არ მიდიან ჩვენი წიგნის ბაზარზე და არ იძენენ მას, რაც მოწაფეებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ჩვენ მოვითხოვთ სკოლის სამკითხველოები ხელახლად იქნეს გაწმენდილი ძველი სახარებებიდან და მამაშვილური პატრიოტიზმით სავსე წიგნებიდან. დროა ჩავაბაროთ არქივს მემარჯვენე მწერალთა ტვინის დაბნელება, რომელიც ახალგაზდობის მსოფლმხედველობას ამახინჯებს და აბნევს, მეშჩანობისა და ობივეტელობის გზაზე აყენებს.

საშინელი ბრძოლა ახალი ლიტერატურისადმი უყურადღებობას სკოლებში!..

ბ. ბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარული მწერლობის კვირეული

19 მარტიდან 26 მარტამდე ფოთში ~~ჩატარდა~~ პროლეტარული მწერლობის კვირეული. ~~თბილისიდან~~ ფოთს ესტუმრა პროლეტარული ~~მწერლები: ბ. ბუაჩიძე~~, შ. რადიანი, ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ს. ეული; ი. ვაკელი, პ. სამსონიძე, გ. ხეჩუაშვილი და ფრ. ნაროუშვილი.

ფოთის მუშები დიდი ინტერესით შეხვდნენ პროლეტ-მწერლებს.

20 მარტს, ოთხშაბათს, ლიტერატურული საღამო მოეწყო ტრანსპორტელთა კლუბში, დარბაზს აუარებელი ხალხი მოაწყდა. თანამედროვე ქართული მწერლების ვითარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბ. ბუაჩიძემ. მომხსენებელი შეეხო რეაქციონურ-მემარჯვენე მწერალთა აქტივიზაციას, შემდეგ თანამგზავრ მწერალთა დახასიათებას და დასასრულ ილაპარაკა პროლეტარულ მწერლობის წარმოშობაზე და ზრდაზე საქართველოში. ამხ. ბუაჩიძის მოხსენების შემდეგ მოკლე სიტყვით, საქართველოში პროლეტარულ მწერლობის წარმოშობის შესახებ გამოვიდა ამხ. ს. ეული; ამის შემდეგ საკუთარი ლექსები წაიკითხეს: ალ. მაშაშვილმა, პეტრე სამსონიძემ,. კ. ლორთქიფანიძემ, იონა ვაკელმა, გიგო ხეჩუაშვილმა, სანდრო ეულმა.

21 მარტს, ხუთშაბათს, ასეთივე შინაარსის საღამო გაიმართა ფოთის მუშა-მოსამსახურეთა კრებაზე.

22 მარტს, პროლეტმწერლები გამოვიდნენ რკინისგზელთა კლუბში.

23 მარტს, ტრანსპორტელთა კლუბში გაიმართა ძველი მუშა მტვირთავების მოგონების საღამო. მოგონებები წაიკითხეს ჯაშმა, მგალობლიშვილმა და სხვ. მოგონებები შეეხებოდა იმას, თუ როგორ პირობებში უხდებოდა წინად მტვირთავებს მუშაობა, როგორ ღებულობდნენ ისინი მონაწილეობას რევოლუციონურ მუშაობაში, როგორ სდევნიდა მათ მეფის მთავრობა და სხვ. მოგონებები მეტად საინტერესო გამოდგა. დამსწრე პროლეტმწერლებში მოგონებებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. მუშებს საპასუხო სიტყვით მიმართა შ. რადი-

ანმა, რომელიც შეეხო პროლეტმწერლების და მუშათა მასების დაახლოვების საკითხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

24 მარტს, დილით თეატრ „კომეტაში“ და საღამოთი კი ტრანსპორტელთა კლუბში, მოწყობილი იქნა დიდი დისპუტი — გასამართლება. გასამართლებული იქნა ჟურნალ „პროლეტარული მწერლობა“. მომხსენებელი იყო შ. რადიანი. დისპუტი გაიმართა აგრეთვე შემდეგ თემაზე: „რას მოითხოვს საბჭოთა საზოგადოებრივობა მწერლებისაგან“ მომხსენებელი იყო ბენ. ბუაჩიძე. გასამართლებამაც და დისპუტმაც გამოიწვია გაცხოველებული კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო 29 მუშამ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროლეტ-მწერლების ამ დიდ საქმეს ენერგიულათ ეხმარებოდა ფოთის პარტკომის პ/მ. მდივანი ამხ. ჭ. იმედაძე.

ფოთში კვირეულის ჩატარების შემდეგ პროლეტარული მწერლები გაემგზავრენ ქუთაისში, სადაც ჩატარებული იქნა ლიტერატურული კვირეული, 24 მარტიდან 30 მარტამდე. სულ გაიმართა 10-მდე ლიტერატურული საღამო და დილა. ორი საღამო გაიმართა ინტერნაციონალის კლუბში. პირველს ღაესწრენ მუშა-მოსამსახურენი, პარტსკოლის და ელექტრო-ტეხნიკუმის მსმენელნი. მეორეს—მაუდის ძაფსახვევ ქარხნის, საგრენაჟოს და რიონჰესის მუშები. ერთი საღამო შესდგა საბჭოთა მოსამსახურეების კლუბში. აქ მოეწყო დისპუტი და პროლეტარულ პოეტების გამოსვლა. დისპუტი გაიმართა შემდეგ თემაზე: „რას მოითხოვს თანამედროვე მწერლობისაგან საბჭოთა საზოგადოებრივობა“. 26 მარტს, საღამო გაიმართა რკინის გზის კლუბში. 27 მარტს პროლეტარული მწერლები გამოვიდნენ ქუთაისის მაზრის საბჭოების ყრილობაზე. 28 მარტს, ტყიბულის მაღაროებში ჩატარებული იქნა ლიტერატურული საღამო.

ქუთაისში ჩატარებული იქნა 5 ლიტერატურული დილა, მოსწავლე ახალგაზრდობაში. (აგროტეხნიკუმი, სამრეწველო პედაგოგიური ტეხნიკუმი, ცხრაწლედები და სხვ.). მოხსენებებს აკეთებდა ბენიტო ბუაჩიძე, სანდრო ეული და შალვა რადიანი. მოხსენებებს კითხულობდნენ თანამედროვე ქართულ მწერლობაზე და სხვ. გამოსვლებში მონაწილეობას იღებდენ შემდეგი პროლეტარული მწერლები: გიგო ხეჩუაშვილი, იონა ვაკელი, სანდრო ეული, ალიო მაშაშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, პეტრე სამსონიძე და ფრიდონ ნაროუშვილი. პროლეტარული მწერლების ყველა გამოსვლებს დაესწრო 4.000-მდე მკითხველი.

პროლეტარული მწერლობის კვირეულმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ახალ მკითხველის ფართო მასამ დიდი აქტივობა გამოიჩინა ლიტერატურულ საკითხების გარკვევაში. ამას მოწმობს ის აუარებელი შეკითხვები და გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც იმართებოდა მოხსენებების და პროლეტარულ მწერლების გამოსვლის ირგვლივ. პროლეტარულ მწერლების გამოსვლების აღფრთოვანებული შეხვედრა დამადასტურებელია იმ ფაქტის, რომ პროლეტარული მწერლობა უკვე იპყრობს მასიურ მკითხველს. ის ქმნის ახალ და ახალ მკითხველთა ფენას და ხდება მისთვის ცნობილ და საყვარელ მწერლობათ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მუშების ფართო ფენების დაინტერესება ლიტერატურის საკითხებით.

კვირეულმა გამოამჟღავნა, რომ ახალი მკითხველის ფართო მასების ლიტერატურული მოთხოვნილება არ კმაყოფილდება ანდა ცუდად კმაყოფილდება; ჯერ ერთი თბილისის გარეთ პროლეტარულ მწერლების ფართო მასასთან ასეთი დაკავშირება პირველი მაგალითია. მეორე: პროლეტ-მწერლობის ჟურნალი, წიგნი, ფართო მკითხველებისადმი არ მიდის. კვირეულის ყველა საღამოზე ითხოვენ ამ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებას.

პროლეტარული მწერლობის კვირეულის ჩატარება ნათელყოფს თუ რამდენად დიდია ინტერესი მუშებს შორის ლიტერატურისადმი.

ბიბლიოგრაფია

ლეო ქიაჩელი „სისხლი". რომანი. წიგნი პირველი. გამ. სახელგამი. 1929 წ. გვ. 412 ფასი 3 მან.

ლ. ქიაჩელისათვის ცხრაას ხუთი წლის რევოლუცია და მისი მომდევნო პერიოდი მეტად საყვარელი თემაა. მისი „ტარიელ გოლუა" ცხრაას ხუთის რევოლუციონურ მოძრაობის ფონზე იშლებოდა. ეხლახან ცალკე წიგნათ გამოცემული „სისხლი" კი შეეხება ცხრაას ხუთის მომდევნო პერიოდს.

„სისხლი"-ს ამ ნაწილში (წიგნი პირველი) ლ. ქიაჩელი გვიხატავს რევოლუციონერების მუშაობას და ბრძოლას ცხრაას ხუთის მოძრაობის დამარცხების შემდეგ.

ავტორს „სისხლში“ გამოყვანილი ყავს მთელი წყება „მრავალ-ფეროვან“ ადამიანებისა. აქ არის: არჩილ დადაშიანი, ბოლშევიკი ნიკო, ანდრო ქარიგაძე, ვარდო ვარაძე, შალვა რამაძე და სხვ.

რომანში პარალელურად ვითარდება ორი მოქმედება, ორი ინტრიგა, ორი კოლიზია (შეჯახება): რევოლიუციონერების მუშაობა რევოლიუციის საქმისათვის და სიყვარულის „ამბავი“.

არჩილ დადაშიანი—რომანის მთავარი გმირი მაღალი წრიდან გამოსული ინტელიგენტია. ის რევოლიუციონურ ორგანიზაციის ხელმძღვანელია. მაგრამ საერთოდ მისი რევოლიუციონერობა უფრო „თეორეტიული“ ხასიათისაა. მასში არ მოსჩანს აქტიური და თავდადებული მებრძოლი. თვით ავტორიც რომანის გასწრივ მრავალ ადგილას ცდილობს სწორედ ასეთად წარმოგვიდგინოს არჩილ დადაშიანი:

„ზღვისფერი თვალები აქვს არჩილს, მეოცნებე. ბობრ სახეზე სინათლე უკრთის და მოსიყვარულე იერი უთამაშებს. ჯადოიანი მზერა აქვს. ხმა-გულითადი, დაუსრულებლად თავაზიანი. სულ არ ჰგავს მებრძოლს“ (კურსი აქაც და ქვევითაც ჩვენია. შ. რ.).

„თუმცა ამ გარემოებაში ერთი რამ კი არის მაინც საყურადღებო: არჩილს ამ მოვლენაზე დაფიქრების დროს ყოველთვის ენიშნება ხოლმე, რომ ის არ არის ისეთი, როგორც ნამდვილად უნდა იყოს, ან თვითონ მას რომ უნდა იყოს, და რომ მისდა უნებურად ხანდახან თავის თავს ღალატობს.“

„ასე გამოდის, რომ არჩილს საკუთარი ნებისყოფა არა აქვს და იგი შემთხვევასა და სხვის ნებაზე არის დამოკიდებული. მეტიც: ერთს აკეთებს, მეორეს კი ფიქრობს, ერთს გადასწყვეტს, სულ წინააღმდეგი კი გამოუდის“.

მეგობარი შალვა რამაძეც შემდები სიტყვებით მიმართავს არჩილს: „პროპაგანდისტობა რა შენი საქმეა“... და სხვ.

არჩილი შინაგანი ბუნებით არ არის რევოლიუციონერი; მებრძოლის განწყობილებები მის სისხლსა და ხორცში ორგანიულათ არ არის შესული. ავტორის გამოთქმა, რომ ვიხმაროთ, ის „სრულიად მისდაუნებურად“ გარეულიუციონერებული პიროვნებაა.

არჩილისებური პიროვნებები ბევრი ახსოვს რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიას. ასეთი ხალხი მხოლოდ მცირე ხნით იყვენ. რევოლიუციასთან, მუშათა კლასთან, შემდეგ კი ღალატობდენ მას და ბურჟუაზია—თვითმყრობელობის სამსახურში მიდიოდენ. სრულიად სამართლიანად შენიშნავს ავტორი არჩილის შესახებ: „... როგორც ამ ნავს მიჰყვება არჩილი, ისე გაჰყვება იგი ცხოვრებასაც და იმნა-

პირს მიადგება, რომელიც ბედზე უწერია, თუ კი არსებობს სადმე ნაპირი ამ ცხოვრებაში და მასზე დადგომა შესაძლებელია“ (კურსივი ჩვენია. შ. რ.).

არჩილი გაორებული პიროვნებაა. მაში ერთმანეთის საწინააღმდეგო განწყობილებებია დაბუდებული. ისინი განუწყვეტლივ ებრძვიან ერთმანეთს.

რომანის გასწრივ არსად არ მოსჩანს არჩილის რევოლიუციონერობის და მუშათა კლასისადმი ერთგულობის დამამტკიცებელი მოქმედებები,—პირიქით: რყევისა და გაუბედავობის კი ბევრგან.

ანდრო ქარივაძე ავტორს აქტიურ და ენერგიულ პიროვნებად ჰყავს გამოყვანილი. კონკრეტიულ „მიზეზად“ მისი პროფესიონალურ რევოლიუციონერად გახდომისათვის, ავტორს მოცემული აქვს სატრფოს—ვარდო ვარაძის ძალით გათხოვება ციხის უფროს აბლანდიაზე. მაგრამ არსებითად შინაგანი, უშვალო მიზეზი ამ მოვლენის სულ სხვაა, უფრო ღრმა და მნიშვნელოვანი. სხვა პირობებშიაც ანდრო ქარივაძე პროფესიონალური რევოლიუციონერი გახდებოდა.

ლ. ქიაჩელი ანდრო ქარივაძეს მრავალგვარ განწყობილებებით გვაცნობს. მის პიროვნებაში ერთდაიმავე დროს ვგრძნობთ შეუდრეკელ მებრძოლს და „გულჩვილ“ ადამიანსაც.

ანდროს რევოლიუციონერობა აუცილებლათ გულწრფელი და პირდაპირია. ის მისი შინაბუნებიდან მომდინარეობს. ამიტომ მისი რევოლიუციონერობა უფრო გჯერათ, ვინემ არჩილ დადაშიანის.

ბოლშევიკ ნიკოს მიუხედავათ იმისა, რომ რომანში მცირე ადგილი აქვს დათმობილი, მაინც არის მთავარი ნიშნებით დახასიათებული. პირდაპირობა, ენერგიულობა და შეუდრეკლობა — აი, მისი თვისებები.

გზადაგზა ლ. ქიაჩელი დანარჩენი გმირების პორტრეტებსაც გვიჩვენებს.

„სისხლში“ საკმაოდ ბევრია მხატვრულად ძლიერი და გამართული ადგილები.

ლ. ქიაჩელს არ აქვს სიტყვიერი მასალა მაინდამაინც მდიდარი. დაკვირვებული მკითხველი ადვილათ შეამჩნევს ამ მხრივ „სიღარიბეს“.

აგრეთვე: უმეტეს შემთხვევაში ლ. ქიაჩელი უკვე „გაცვეთილ“ და შაბლონათ ქცეულ სახეს და მეტაფორებს ხმარობს („ოთახში ცაცა შემოფრინდა განასროლი ისარივით“, „არჩილს კვლავ საშინელი აზრები მაჯლაჯუნასავით ჰგუდავდენ, ჰკრუნჩხავდენ, ჰკაწრავდენ“, „მის წინ რიონი აღლუმზე გამოსულივით შხუილით გარბოდა“ და სხვ.).

არ ეხერხება აღწერებიც. ამიტომ თითქმის მთელი რომანი დიალოგებზეა აშენებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხშირად რომანის მთავარი ხმირებიც კი ვერ აჭყავს ტიპიურობამდე.

ასეთია „სისხლის“ ზოგიერთი ფორმალური ნაკლი. მიუხედავათ ყოველივე ამისა, ის მაინც საყურადღებო ფაქტია უკანასკნელი წლების, ჩვენს ლიტერატურულ-მხატვრულ პროდუქციაში.

შ. რ.

დემნა შენგელაია—„გზა“ გამომც. „შრომა“.

ჩვენი წიგნის ბაზარი ღღითი ღღე მდიდრდება ახალი წიგნებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნების ნაწილი ჩვენი თანამედროვე სოციალური ყოფის აქტუალურ კითხვებს ვერ აძლევს სათანადო პასუხს.

სარეცენზიო წიგნის ავტორს უცდია (როგორც მოთხრობის ბოლო ფურცლებში ჩანს) მოეცა მხატვრულ ფორმებში წარსული ბრძოლების, სამოქალაქო ომის ერთ-ერთი სურათი. მაგრამ ცდამ ვერაფერი საიმედო მოგვცა. მეორე ნაწილი, სადაც თანამედროვეობაზეა ლაპარაკი დაჩრდილა ლოცვებით მდიდარმა და რელიგიოზურ რწმენით დამძიმებულმა პირველმა ნაწილმა.

ეს მოთხრობა დაიბეჭდა „გურამ ბარამანდიას“ სათაურით ჟურნალ „დარიალში“. ეხლა კი როგორც ავტორი გადმოგვცემს იბეჭდება მცირე შესწორებით.

არსებითად რას ვხედავთ ამ მოთხრობაში?

პორნოგრაფიული ამბების დამახასიათებელი სტრიქონები მოთხრობაში მრავლად გვხვდება.

ბარამანდიების წინაპართა ლოდზე წარწერილ ეპიტაფიის ამონაწერებს მთელი გვერდი აქვს დათმობილი.

„უბედური დანიშნული გაეხდი მეუღლეს ნატრული.

. . . . . .

ქორწინებას ვაპირებდი გამომიჩნდა უცებ ჭირი“ და სხვა.

მოთხრობაში უყურადღებოთ არ არის დატოვებული ხატის შეწირვის ისტორიაც.

„გზა-“ს კითხვის დროს დაუსრულებლივ ყოველ სტრიქონში გესმის: გველები, ბაყაყები, ნიფხვები, კაკტები, ძაღლები ჭაკი ცხენები. ან კიდევ: „კოჩა გველთა ბატონის, უჩაღარ თამის, ქურუმი იყო. ის გველთა უფროსი იყო და მის ოჯახში გველი არ მოიკვლებოდა. დასრიალებდენ განებივრებული შინაური გველები და ბოსტანში საკრეფად ჩამჯდარ ძიძას კალთაში ალერსით უძვრებოდენ“.

შენგელაია დიდი ინტერესით ეძებს უხუცეს გველის „მურზაყანის“ სახელის წარმოშობის ძირს (გ ვ ე რ დ ი 47). სადაც მთელი ეს გვერდი ამ ამბავს აქვს დათმობილი.

მოთხრობა სავსეა აგრეთვე უხეშ შედარებებით მაგ: „საღამო ხანს მზე კაბა აკარწახებულ დედაკაცივით ჩაუჯდებოდა პალიასტომის ჭაობს“.

ძველი შელოცვების და რელიგიოზური ამბების შეტანა შენგელაიასათვის მოთხრობებში კანონია. მოთხრობის მთელი გვერდები სავსეა ლოცვებით. მაგ: გვერდი 50,53,54,57,58, მას უკავია.

თითქოს მოთხრობის ნაწილობრივი გარდატეხა 62 გვერდიდან იწყება. უნდა ითქვას აშკარად, რომ მეორე ნაწილი მოთხრობისა არავითარ კავშირში არ არის პირველთან. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ნაწილში გვხვდება პირველი ნაწილის გმირებიც. ან, რა, კავშირი უნდა ქონდეს პარტიზანულ ბრძოლებთან, ლოცვებს, ბაყაყებს, გველებს და რელიგიოზურ კულტს? რა თქმა უნდა არაფერი.

ან რა საინტერესოა ჩვენთვის ოქსანას ლოთობა და სხვა ასეთები, რომლითაც ეს მოთხრობა ავტორის გულუხვობით მდიდარია.

„გზა“ ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმ ფაქტს, რომ „მემარცხენეები“ მიუხედავად, თავისი თეორიებისა, ვერ უახლოვდებიან საგრძნობლად ჩვენს სოციალურ ყოფას.

რევოლუციასთან, რევოლუციონურ ახალგაზრდობასთან მისვლა, ლოცვებით, რელიგიოზიური რწმენით, ძველ ხლაპართა რესტავრაციის გზით და გველების კულტით არ შეიძლება.

კ. მელაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარული მწერლების
ახალი წიგნები:

იონა ვაკელი

ლექსები

გამოცემა სახელგამის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანდრო ეული

კომუნა საქართველო

გამომცემლობა „შრომა“

კარლო კალაძე

ლექსების წიგნი

გამომცემლობა „შრომა“